ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკევობით

№ 18 (74)

8 მაისი, პარასკევი, 1992 წ.

ნუ გავყრით ქართველებს საქართველოდან!

(ღია წერილი იუსტიციის მინისტრს ბატონ ჯონი ხეცურიანს)

ბატონო ჯონი, გაზეთ საქართველოს რედაქციაში მობრძანდნენ აღელვებული, გამწარებული, გაუბედურებული ქართველი მოქალაქენი, რომელთაც აქვთ სამართლიანი პრეტენზიები სასამართლოების მიმართ.

საქმე შემდეგში გახლავთ. ჩვენი გაზეთის 3 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ქ. ვლადიკავკაზიდან თბილისში საცხოვრებლად გადმოსულ მოქალაქეთა განცხადება. განმეორებით გთავაზობთ ამ განცხადების ტექსტს რედაქციის იმჟამინდელი მინაწერითურთ.

გაზეთ „საქართველო“-ს რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს ქ.ვლადიკავკაზიდან თბილისში საცხოვრებლად გადმოსულ მოქალაქეთა

განცხადება

მოგეხსენებათ,კონფლიქტის შემდეგ ოსეთში მაცხოვრებელი ქართველები, როგორი დათრგუნულები, მუქარითა და დარბევით, ფიზიკური შეურაცხყოფით შეწუხებული ვიყავით. როგორც იქნა მოგვეცა საშუალება ბინების გაცვლის. უმრავლესობამ საკუთარი სახლი, კარმიდამო უპრეტენზიოდ გავცვალეთ უფრო პატარა ბინებზე. თავს ბედნიერად ვგრძნობდით, რომ საქართველოს მიწაზე გვეღირსა ცხოვრება და ქართულად ლაპარაკს ვეღარ აუკრძალავდნენ ჩვენ შვილებს. მაგრამ ჩვენი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ბინების გაცვლა მოხდა კანონის დაცვით, ვლადიკავკაზში საბუთებზე ხელისმოწერას გვიჭიანურებენ და ითხოვენ დიდძალ თანხას (თითო ოჯახიდან 1 0000 მან.) ჩვენ კი თბილისში ამიტომ ჩაუწერლები და უმუშევრები ვართ. ჩვენი შვილებისათვის პურის ფული არა გვაქვს. მაგრამ როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, ოსეთში არც ერთი კაცი აღარ დავბრუნდებით; რადგან იქ ჩვენ და ჩვენი შვილების სიცოცხლეს საშიშროება ელის და თუ სიკვდილი გვწერია, აქ დავიხოცებით.

უმორჩილესად გთხოვთ, ნუ დაგვტოვებთ უუურადღებოდ, ნუ გაგვწირავთ ჩვენ ისედაც ტრამვირებულ ბავშვებთან ერთად. განცხადებას ხელს ვაწერთ ოსეთიდან ჩამოსული ქართველები.

რედაქციისაგან: აღნიშნული განცხადება გადაცემული აქვს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ გურამ ფანჯიკიძესაც. განცხადების ავტორებს აღვუთქვამთ, რომ მწერალთა კავშირთან ერთად ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ მათი სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

ბატონო ჯონი, როგორც ხედავთ ქ.ვლადიკავკაზიდან ციმბირში დაბრუნებულ თანამემამულეებს რუდაქციამ დახმარება აღუთქვა. დახმარებას შეჰპირდა თქვენი თანადგომის იმედით. ვფიქრობდით, რომ სიმართლესა და სამართლიანობას დაუდგებოდით გვერდით, ვიმედოვნებდით, რომ ჩვენს დებსა და ძმებს არ გასწირავდით. მართალი გითხრათ პირადად თქვენი პოზიციის შესახებ ამ საკითხში არა ვიცით რა და მთელს ბრალდებას თქვენზე ვერ გადმოვიტანთ, მაგრამ ამგვარი ტონით წერა გვაიძულა იმ განუკითხობამ, რაც თბილისის სასამართლოებში სუფევს და რაზეც გვინდა მივაპყროთ თქვენი ყურადღება.

დახმარების ნაცვლად, ზემოაღნიშნული განცხადების ერთ-ერთი ხელმომწერი გლდანის რაიონის სასამართლომ (მოსამართლე ასოშვილი) გამოასახლა ბინიდან და იგი მიაკუთვნა მოქალაქეს, რომელმაც თავის დროზე აღნიშნული სახლი ფაქტობრივად გადაცვალა და თითქმის ერთი წელია ცხოვრობს ქ.ვლადიკავკაზში. ეს ფაქტი, სამწუხაროდ, არ გახლავთ ერთეული შემთხვევა.

ქ. ვლადიკავკაზში გადასული ოსი მოქალაქენი იქ უკვე ჩაწერილნი არიან ქართველთა ბინებში, ხოლო ქართველი მოქალაქენი რომ ამოწერონ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იქ უკვე მთელი წელია აღარ ცხოვრობენ, ვლადიკავკაზის ფუნქციონერები მათგან ითხოვენ 20000 მანეთს. ამოწერის ბარათის გარეშე კი ჩვენი ფუნქციონერები ამ უკანასკნელთ თბილისში არ წერენ.

არის შემთხვევები, როდესაც ვლადიკავკაზში ამოსაწერად წასული ქართველი მოქალაქენი იქ შეურაცხყვეს, სცემეს, უფრო მეტიც მოქ.წიკლაური და ღუდუშაური დაჭრეს (ისინი ამჟამად მოთავსებულნი არიან ყაზბეგის საავადმყოფოში). ასეთ ვითარებაში ჩვენი მოსამართლენი ადმინისტრაციული წესით აიძულებენ ქ.ვლადიკავკაზიდან გადმოსულ ქართველებს დაცალონ ბინები, რომლებიც თავის დროზე ოსებმა ნებაყოფლობით გაცვალეს ან გაყიდეს. ადვილი წარმოსადგენია თუ ეს ასე გაგრძელდა, რა ელით იქ, ოსეთში, სამაჩაბლოდან გაძევებულ ჩვენს თანამემამულეებს.

ბატონო ჯონი, გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები სამართლიანობის აღსადგენად, წინააღმდეგ შემთხვევაში გამწარებული მოქალაქენი აპირებენ მიმართონ პროტესტის უკიდურეს ზომებს.

პატივისცემით
ნოდარ გრიგალაშვილი

დღეს ნომერში:

სიტყვა ოპოზიციას.
ქე-2 გვერდზე

გაეცნობით ჰელსინკის კავშირის წევრის კოპა გაწერილიას მიმართვას საქართველოს ხელისუფლებისადმი.

სერგო ჯანაშია:
ამნისტია — მეოდლის ორი მხარე
„... ხელისუფლებამ ამნისტიით იზოლაციაში მეოფ ადამიანთა გული მოიგო, მაგრამ...“
ამნისტიის ორი ასპექტის შესახებ წერილს გაეცნობით
მე-3 გვერდზე

„...ახლან აგაშიძისთვის აჭარა პატარა საფეოდალოა, რომლის განუკითხავი გამგებელი თვითონაა...“
— აღნიშნავს მიხეილ მახარაძე
მე-3 გვერდზე

ლაგეჭდილ წერილში
**ს

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიტყვა ოპოზიციას

პოლიტ-პატიმრები და შიმშილობა

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 7 იანვარს საკუთარ ბინაში უვადო შიმშილობა გამოაცხადა ჰელსინკის კავშირის წევრმა კონსტანტინე გაწერილიამ. ჩვენ მივაკითხეთ მას და ვთხოვეთ მოეცა განმარტება ამ ფაქტის შესახებ.

კგაწერილია: 5 თვეზე მეტია განდევნილია ხალხის მიერ არჩეული კანონიერი პრეზიდენტი და პარლამენტი, შეჩერებულია ქვეყნის კონსტიტუცია, უკანონო ხელისუფლების მიერ დახვრეტილ იქნა მშვიდობიანი მანიფესტაციები და მიტინგები. საპყრობილეებში იტანჯება მრავალი პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის უზენაესი საბჭოს წევრები ტარიელ გელანტია და ვახტანგ ჯითავა, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი გურამ აბსნაძე. რამდენიმე დღის წინ ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მიერ სრულიად უკანონოდ, გამოგონილი ბრალდებით დაკავებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი თენგიზ კიკაჩეიშვილი, რომლის სამართალდაცვითი მოღვაწეობაც მთელი საქართველოსთვისაა ცნობილი. იგი დღემდე არ არის განთავისუფლებული.

ამ მიზეზების გამო თავს ვალდებულად ვთვლი გამოვაცხადო უვადო შიმშილობა, ჩემი ეს განცხადება გაეგზავნა ედუარდ შევარდნაძეს.

რედაქციისაგან: როგორც რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ განაცხადა, ბატონ გურამ აბსნაძეს ბრალი ედება ფულის დიდი რაოდენობით გაფლანგვასთან და გამფლანგველთა მიმართ ხელშეწყობაში. ამდენად, გაუგებარია, რა საფუძველს ემყარება მისი პოლიტპატიმრად გამოცხადება.

რაც შეეხება ბატონ თენგიზ კიკაჩეიშვილის დაკავებას, ეს ფაქტი რედაქციისათვისაც მოულოდნელი და უცნაურია. ვეცდებით მოვიპოვოთ სრული ინფორმაცია და მკითხველს უახლოეს ნომერში მივაწოდოთ.

ეს სურათები ფოტოგრაფის არქივიდან ამოღებული არ გეგონოთ, ისინი დღესაც „ამშვენებენ“ ჩვენს **ეროვნულ** დაწესებულებათა ფასადებს.

დღეს, როცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების „ურღვევმა კავშირმა“ ჩაილურის წყალი დალია და, ლამის, მისმა პირმშო „ესენგე“-მაც მშობლის ბედი გაიზიაროს, ასეთი შინაარსის აბრების არსებობა, დაგვეთანხმებით, ანაქრონიზმად მოჩანს.

შეგონება

გვეყო ამდენი სირცხვილი,
როდემდე სისხლი ვღვაროთა?!
ჩვენივე სისხლის ჩანჩქერით —
მიწის გულმკერდი ვღაროთა?!
როდემდე ძმებმა ძმებისა
სამარეები ვთხაროთა?!
საქმე ის არის, რომ ცუდი
კეთილად მოვაგვაროთა.
დროა, დავწყნარდეთ, ვიშრომოთ.
უნდა ვხნათ, უნდა ვბაროთა.
მშვიდი ცხოვრება დავიწყოთ —
ვიცხოვროთ, ვიმთაბაროთა.
შვილები, შვილიშვილები
მოხუცად მოვიყაროთა.
სულს გავუფრთხილდეთ ყველანი,
ეშმაკს არ მივაბაროთა.
მტერსა და ბოროტს — სატანას,—
თვალები წამოვთხაროთა.
მაღალი ღმერთი გვფარავდეს,
სუყველამ გავიხაროთა.

ყარამან მარაული

დედოფლის-წყაროს რაიონი
სოფ. გამარჯვება

1992წ. 12 მარტი

... თქვენ რატომ არ ყვირიხართ „შევარდნაძე, შევარდნაძეს?!...“

ანუ რა ხდება დღეს ზუგდიდში

სერგო ჯანაშია

ამ უკანასკნელ თვეებში ზუგდიდში ნამყოფ კაცს მაშინათვე ეცემა თვალში შედარებით ის მშვიდი ატმოსფერო, რაც სუფევს დღეს იქ.

ქალაქი გამოცოცხლებულია. ხალხი საქმიანად მიდი-მოდის ქუჩებში. ერთგან ასფალტს აგებენ, მეორეგან ხარაჩოებს აკეთებენ და მიუხედავად იმისა, რომ წარმოება-დაწესებულებათა დიდი ნაწილი კვლავ არ მუშაობს და სულ რამდენიმე სკოლაშიღაა სწავლა, მაინც იგრძნობ კაცი, რომ საქმე უკეთესობისაკენ მიდის და ცხოვრება ჩვეულ რიტმს უბრუნდება.

თუმცა, პოლიტიკური ვნებათაღელვა მაინც არ ცხრება და ქალაქის სხვადასხვა ადგილებში თავმოყრილ მოქალაქეთა მცირე ჯგუფებში კვლავ პოლიტიკურ საკითხებზე კამათობენ, სადღეისო პრობლემებს არჩევენ და ამ დავა-კამათში სასწორი ჯერ-ჯერობით ყოფილი ხელისუფლების სასარგებლოდ იხრება, რაშიც გარკვეული წილი იმ სოციალურ პრობლემებზეც მოდის, ასე უხვად რომ მომრავლდა დღეს ზუგდიდელთა ცხოვრებაში და რომელთა დროული გადაჭრაც, ჩემის აზრით, ნაწილობრივ მაინც განმუხტავს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაძაბულობას, რასაც დღეს იქ აქვს ადგილი.

საქმე იმაშია, რომ მცხოვრებთა უკმაყოფილებას იწვევს პურზე, პირველი მოთხოვნილების სხვა საგნებზე უზომოდ გაზრდილი ფასები, სასურსათო და სამრეწველო პროდუქტების დეფიციტი, ვაჭრობასა და მოსახლეობის პირველი მოთხოვნილების საგნებით მომარაგების სფეროში არსებული სრული განუკითხაობა. ამას ემატება ისიც, რომ ხალხს თვეობით არა აქვს ხელფასები მიღებული, თუმცა, პენსიონერები და ინვალიდები დაუბრკოლებლად იღებენ პენსიას. რა თქმა უნდა, ასეთი სოციალური ვითარება მხოლოდ ზუგდიდელთა ხვედრი არ გახლავთ და შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველოც ასეთი ცხოვრებით ცხოვრობს დღეს, მაგრამ იმ მოვლენების ფონზე, რაც ბოლო პერიოდში ზუგდიდში მოხდა, სოციალური ვითარების გამწვავება ერთგვარ ნოყიერ ნიადაგს უქმნის იმ ძალებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კვლავ დესტაბილიზაცია და ქაოსი შემოიტანონ ზუგდიდსა და მთლიანად სამეგრელოს რეგიონში.

ამ მიმართულებით გადადგმულ გონივრულ ნაბიჯად აღიქვა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად გაერთიანება „საქქალალმრეწვის“ გენერალური დირექტორის ბატონ ოთარ ფაცაციას დანიშვნა, რომელიც გამოცდილი მეურნე გახლავთ და მის სასარგებლოდ ის დარგი, ანუ რესპუბლიკაში ქაღალდის წარმოება, მეტყველებს, რომელიც სწორედ მან დააყენა ფეხზე და უსახური, თითქმის კუსტარული საწარმოებიდან ქაღალდის ფაბრიკები გიგანტურ, მილიონობით მანეთ მოგების შემომტან კომბინატად აქცია.

ამიტომ, ბუნებრივია, მოსახლეობის ერთი ნაწილი იმედით შეხვდა ამ პიროვნების დანიშვნას ზუგდიდში პირველ კაცად. შედეგიც სახეზეა. ქალაქში პური უკვე საკმაო რაოდენობით ცხვება, შემოტანილია 1500 ტონა ფქვილი, 40 ტონა შაქარი (თვის ბოლომდე 120 ტონა შაქარს მიიღებენ) და ა.შ.

დღეისათვის სრული დატვირთვით მუშაობს ენგურჰესალდკომბინატი, 15 მაისს უნდა ამუშავებულიყო ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარეობს, მიწების 70 პროცენტი მოხნულია, დაწყებულია თესვა, მალე ჩაის კრეფაც უნდა დაიწყოს, რის თაობაზეც ამ დარგის მუშაკების თათბირიც გამართულა თბილისიდან ჩამოსულ დარგის ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

რაც შეეხება დანარჩენი წარმოება-დაწესებულებების ამუშავების საკითხს, კვლავ არის ტერორისტული აქტები და დაშინებების მცდელობა იმ პირთაგან, რომელთაც ხელს არ აძლევს ქალაქსა და რაიონში ცხოვრების ნორმალიზება, თუმცა, აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ წარმოების ხელმძღვანელის პიროვნულ პოზიციაზეც ბევრია დამოკიდებული. მაგალითად, პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა და პედაგოგიურმა კოლექტივმა, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტებმა ავტომატური იარაღით დაცხრილეს დირექტორის სახლი და თვითონაც დაჭრეს, სწავლა მაინც გააგრძელეს და როგორც ამბობენ, ამ ფაქტის შემდეგ მოსწავლეთა რაოდენობამაც იმატა სკოლაში.

რადგან სწავლაზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა აღვნიშნო, რომ მშობელთა დიდი ნაწილი მოწადინებულია სწავლის დაწყებაში. ამიტომაც, მიმდინარე წლის 14 მაისს ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელობის, მშობელთა კომიტეტებისა და პედაგოგიური მუშაკების ინიციატივით ენგურჰესალდკომბინატის კულტურის სახლში გამართულა კრება, რომელზეც დამსწრეთა უმრავლესობას ერთსულოვნად გადაუწყვეტია სწავლის დაწყება 15 მაისიდან, რასაც დარბაზში მყოფთა ერთი ნაწილი აღუშფოთებია და პროტესტის ნიშნად დარბაზის დატოვებაც უცდიათ, ხოლო განათლების განყოფილების გამგე გადამდგარა თანამდებობიდან (განათლების განყოფილების გამგეც ასეთი უნდა!), რომ სწორედ ამ დროს დარბაზში ზუგდიდის ყოფილი პრეფექტი თამაზ ჟორჟოლიანი შემოსულა შეიარაღებული დაცვის თანხლებით, რომლის გამოჩენასაც დარბაზში მყოფთა ერთი ნაწილი ტაშითა და ჩვეული შეძახილებით „ზვიადი!...ზვიადი!“ შეხვედრიან, ბატონ თამაზსაც დიდი თავპატიჟი არ დაუწყია და თვითონვე მისულა ტრიბუნასთან, საიდანაც განუცხადებია, რომ არავითარი სწავლა, არავითარი მუშაობა, მალე დაუმორჩილებლობის აქციები დაიწყება, ხოლო 23 მაისს ზუგდიდში გრანდიოზული მიტინგი გაიმართება და თუ ტყვია გავარდა, ყველაფერი დღევანდელ ხელისუფალთ მოეკითხებათ, რომლებიც ორ თვეზე მეტს ვერ გაძლებენ ხელისუფლების სათავეში და სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ამბებიც სწორედ მათი ინსპირირებულია.

ამ დროს დარბაზიდან ვიღაცას შეუძახია, ჩვენმა შვილებმა გინდა რომ არ ისწავლონ და ამ დროს შენი შვილები კი გორში დადიან სკოლაშიო.

ყოფილ პრეფექტს ამ შეძახილისთვის ყურადღება არ მიუქცევია და დარბაზის წინა რიგში მსხდომთათვის უკითხავს ციინიკურად, ხომ ხედავთ ჩვენი მომხრენი როგორი ტაშითა და „ზვიადის“ ძახილით შემხვდნენ და თქვენ რატომ არ ყვირიხართ — „შევარდნაძე, შევარდნაძეო?!...“.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყოფილი პრეფექტი შემდეგ ტრიბუნიდან ჩამოსულა და მშვიდად გასცლია იქაურობას თავისი შეიარაღებული მხლებლებითურთ. დარბაზში კი, პრეზიდიუმთან, მსხდარან ზუგდიდის პროკურორი, მილიციის უფროსი, სხვა ხელმძღვანელები, ყოფილან შეიარაღებული გვარდიელებიც.

შემდეგ, როგორც ხალხში ამბობდნენ, ყოფილი პრეფექტი ბატონ ოთარ ფაცაციასთან შესულა და უკითხავს, ვინ დაგნიშნა აქ, რა უფლებით, ამ ქალაქის პრეფექტი ჯერ-ჯერობით მე ვარო.

ასეა თუ ისეა, ფაქტი ის გახლავთ, რომ ყოფილი ხელისუფლების შეიარაღებული მომხრეები თავისუფლად დადიან ყველგან, სადაც მოეგუნებებათ და უბრალოდ, ლოგიკას არ ექვემდებარება ის ამბავი, რომ შეიძლება მომიტინგე ქალები დაარბიო და ასეთი შეიარაღებული მოწინააღმდეგეები კი თავისუფლად დაპარპაშებდნენ.

იქ ყოფნის პერიოდში შევხვდი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, რომლებიც პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოში არიან გაერთიანებულნი. კერძოდ, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტის წევრს თორნიკე ბერაძეს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ბეჟან გუნავას, ი.ჭავჭავაძის საზოგადოების წევრს ქეთინო ტაბაღუას და სხვებს, რომელთაც აღნიშნეს, რომ ქალაქსა და რაიონში ცხოვრება ერთგვარად ნორმალიზებულია, მაგრამ ის ძალები, რომელთაც ეს ხელს არ აძლევთ, კვლავ ცდილობენ მიმართონ ტერორისტულ აქტებს, დაშინებებს, ატარებენ მიტინგებს (თუმცა, ბოლო დროს არც ისე მრავალრიცხოვანი მიტინგები იმართება თურმე და ისიც არა ყოველდღე), ხოლო რამდენადაც ცნობილია, 19-დან 26 მაისამდე მასობრივი აქციების მოწყობას აპირებენო.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა განსაკუთრებული აქცენტი გაამახვილეს მიწისა და საერთოდ, პრივატიზაციის საკითხებზე. მათ მიაჩნიათ, რომ ამ საქმეს დიდი სიფრთხილით უნდა მოკიდება, რადგან ამ ნიადაგზე ერთ-ერთ სოფელში, სადაც თვითნებურად დაუწყიათ მიწის განაწილება, თითქმის მკვლელობამდე მისულა საქმე, ხოლო ის ობიექტები (სავაჭრო თუ სამრეწველო), რომლებიც პრივატიზაციას დაექვემდებარებიან, ისევ მაფიის ხელში არ უნდა მოხვდეს და საერთოდ, მათი აზრით, პრივატიზაციის განხორციელება პატიოსანი და უმწიკვლო ხალხის ხელით უნდა გაკეთდეს. (ბატონ ო.ფაცაციას თქმით, მიწის პრივატიზაცია შემოდგომაზე აქვთ განზრახული).

მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ბეჟან გუნავამ ისაუბრა იმაზე, რომ რაიონში კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობაა შექმნილი, უმოწყალოდ იჩეხება ტყეები, ეკოლოგიისათვის არავის სცალია და არის იმის რეალური საშიშროება, რომ ზუგდიდში, სადაც მოშლილია კომუნალური მეურნეობის ობიექტებისა და გამწმენდ ნაგებობათა მუშაობა, ეპიდემიამ იფეთქოს. მისი აზრით, მთავრობამ სასწრაფოდ უნდა შეიმუშაოს ეკოლოგიური კანონი და მოქმედებაში მოიყვანოს იგი.

მათვე ხაზი გაუსვამთ [illegible] მოებას, რომ ქალაქში [illegible] შემოდის პრესა (15 მაისს საქართველოს ტელევიზია ჩაირთო), ხოლო ადგილობრივი გაზეთი, რომელსაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია მოსახლეობაში გავრცელებული ჭორებისა და მითქმა-მოთქმის გასაფანტავად, რატომღაც არ გამოდის.

დღეს ზუგდიდიდან გასულია გვარდიის ძირითადი ნაწილი. სიტუაციას აკონტროლებს შინაგანი ჯარის ნაწილები და ადგილობრივი მილიცია. მიუხედავად ამისა, კრიმინოგენური ვითარება მაინც დაძაბულია. კვლავ ხდება ყაჩაღური თავდასხმები (ერთი ასეთი ფაქტის შესახებ ტელევიზიითაც ეუწყა მოსახლეობას), ძარცვები, მანქანების გატაცება, სხვა დანაშაულობანი, თუმცა წინა პერიოდთან შედარებით სიტუაცია რამდენადმე უმჯობესია და როგორც აქაურებთან საუბრისას ირკვევა, თითქმის რადიკალურადაა შეცვლილი (რა თქმა უნდა, უკეთესობისაკენ) მათი შეხედულება გვარდიელებზე, რომელთა ძირითადი უმრავლესობა ამ ბოლო დროს ყოველგვარი ადამიანური და ჯარისკაცური ეთიკის დაცვით იქცეოდა თურმე.

ასე რომ, მიუხედავად ხალხში არსებული სხვადასხვაგვარი განწყობისა, ზუგდიდში ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგება და ღმერთმა ქნას, რომ ადამიანები ჩვეულ ცხოვრებისეულ რიტმს დაუბრუნდნენ. ამის იმედი დღეისათვის ნამდვილად არის.

რამდენიმე სიტყვით მინდა აფხაზეთში არსებულ მდგომარეობასაც შევეხო, სადაც ამ დღეებში ვიყავი. მდ.ენგურის ხიდთან დაბანაკებული აფხაზეთის შინაგანი ჯარების ნაწილები, როგორც კი ქართული გვარდია გავიდა ზუგდიდიდან, აყრილან და ამჯერად მდ. ღალიძგასთან (სწორედ აქ მოხდა აფხაზეთის ცნობილი მოვლენები) დაუციათ ბანაკი. ხაკისფერ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, მხარზე თურქული წარმოების ავტომატგადაკიდებული ჯარისკაცები აკონტროლებენ სიტუაციას გზაზე, გამვლელ ავტომანქანებს ჩხრეკენ (გზა ჩახერგილია მასიური ბეტონის ფილებით, მხოლოდ მანქანებისთვისაა ვიწრო გასავლელი დატოვებული) განსაკუთრებით იმ მანქანებს, რომელთაც აფხაზური ნომრები არა აქვთ (აფხაზეთში მანქანების დანომვრის საკუთარი სისტემა შემოუღიათ, ყველა სერია „ა“-თი იწყება). აქაურ ქართველთა თქმით, ამ ბოლო დღეებში აფხაზეთის ტელევიზიით აშკარა ანტიქართული კამპანიაა გაჩაღებული და იქ მცხოვრები ქართველობა სერიოზულადაა შეშფოთებული იქაური ატმოსფეროთი. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ არსებული ვითარება მუქ ფერებში წარმოვაჩინო, მაგრამ აქ მცხოვრებ ქართველებს შეშფოთების საბაბი ნამდვილად აქვთ და მთავრობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ დროულად გადაწყდეს ყველა პრობლემა.

ზუგდიდი-თბილისი
15 მაისი.

ერი და ჭეშმარიტება

ზურაბ კიკნაძე

თავის მასშტაბურ, შეიძლება ითქვას, საპროგრამო სტატიაში („ეროვნული პრობლემები მეცნიერული მონაცემების გარეშე ვერ გადაწყდება“, გაზ. „საქართველო“, 15.8.92) ბატონმა შოთა ნადირაშვილმა სხვათა შორის გაიხსენა განსვენებული ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის მიერ გამოთქმული აზრი ჭეშმარიტების შესახებ, რომ ჭეშმარიტება უმაღლესი ინსტანციაა, რაც მან ფილარმონიის დიდ დარბაზში „სახალხო ფრონტის“ დამფუძნებელ ყრილობაზე წარმოთქვა: „ჭეშმარიტება ერის ინტერესებზე მაღლა დგასო“. აი, ასე იყო ეს თქმული და მისი დასაბუთება ფილოსოფოსს, თუნდაც რიგით ადამიანს, ვისაც ჯერ კიდევ არ დაჩლუნგებია ჭეშმარიტების განცდა, არ გაუჭირდებოდა. მაგრამ იქ არ აღმოჩნდა ამის ადგილი და შესაძლებლობა. ეს ჭეშმარიტება თავად ჭეშმარიტების უზენაესობის შესახებ რომ ხმამაღლა ითქვა ყველას გასაგონად, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მისი მთქმელი ჭეშმარიტი ფილოსოფოსი იყო, ბუნებით ფილოსოფოსი, და არა მხოლოდ პროფესიით. როგორ შეეძლო ფილოსოფოსს, „სიბრძნის მოყვარულს“, ჭეშმარიტების მაძიებელს, ძიების საბოლოო მიზანზე — ჭეშმარიტებაზე მაღლა დაეყენებინა რაიმე მოვლენა, საზოგადოებრივი თუ ბუნებრივი, თუნდაც კოსმიური, როცა ყველაფერი, რაც კი შექმნილა და არსებობს, ჭეშმარიტებით (სხვა სახელი მისი სიბრძნეა) შეიქმნა და ჭეშმარიტებავე აარსებებს? ეს ანიჭებს ყოველ სინამდვილეს აბსოლუტურ ხასიათს და ყოველი მოაზროვნე იმას ცდილობს, რომ ჭეშმარიტება რეალობაში გაანამდვილოს. ეს აზრი, რომელიც ქრესთომატიულად გახდა სოკრატეს ხანიდან, შეცდომად, გაუგონარ მკრეხელობადაც კი ჩაუთვალეს ფილოსოფოსს. სამი წლის შემდეგ ბატონმა შოთა ნადირაშვილმა, მისმა კოლეგამ, რატომღაც იტვირთა გაუგებრობის თუ, უბრალოდ, უმეცრების ნიადაგზე მცდარად შერაცხილი ამ აზრის შერბილება მისი გამომთქმელის რეაბილიტაციის მიზნით საზოგადოების თვალში. ესაჭიროება კი გამართლება განსვენებულ ფილოსოფოსს, უკვე ჭეშმარიტების საუფლოში მყოფს? ერთადერთი შეცდომა ფილოსოფოსისა იმ ხანად ის იყო, რომ ეს აზრი მან მის აღსაქმელად სრულიად მოუმწიფებელ აუდიტორიაში წარმოთქვა. თუმცა არ უნდა მომხდარიყო ასე: ფილარმონიის დიდ დარბაზში ხომ შეკრებილი იყო ქართველი საზოგადოების ელიტა — მისი ინტელექტუალური და პატრიოტული ძალები. თუ ელოდა ფილოსოფოსი ამ გაუგებრობას? იქნებ ელოდა, მაგრამ მაინც თქვა თავისი სიტყვა, რადგან არ შეეძლო არ ეთქვა. ვინმეს გულში ხომ იპოვნიდა მისგან გადმოგდებული თესლი სათავისო ნიადაგს? იქნებ ის ვინმე მაშინ მდუმარედ მჯდარიყო, არც გამოსარჩლებოდა ორატორს, მაგრამ თესლი უთუოდ გაღივდებოდა. ვინ იტყვის, რომ ეს ასე არ მოხდა? თუნდაც ერთი ყმაწვილის გულში ჭეშმარიტების აღმოსაცენებლად იქნებ ღირდა ამის გაცხადება? ეს ჭეშმარიტად სოკრატული აქტი იყო. სოკრატე ხომ იმისთვის დაისაჯა, რომ ჭეშმარიტება ათენის ღმერთებზე მაღლა დააყენა? ვინაიდან რა ღმერთია ის ღმერთი, რომელიც ჭეშმარიტებას (სიბრძნეს) არ ატარებს? სოკრატე კერპებს ანგრევდა უზენაესისთვის გზის გასაწმენდად, რომლის შემდეგ უნდა აშენებულიყო ყველა სხვა შენობა. ახლა გავიხსენოთ, რამდენი კერპი აღიმართა იმხანად ფილარმონიის დარბაზში და სხვა დარბაზებში, დიდში თუ მცირეში, ქუჩებში თუ მოედნებზე, ტაშის გრიალსა და შემკვრივებულ მუშტთა მოღერებაში?

ბატონმა შოთა ნადირაშვილმა სხვა სივრცეში გადაიტანა ფილოსოფოსის ნათქვამი: „მას იმის თქმა უნდოდა, რომ როდესაც ადამიანი ერის სამსახურში ჭეშმარიტებას ღალატობს და სიყალბეს მიმართავს, ეს ამორალურ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს. ამ კონტექსტში მართლაც უნდა ითქვას, რომ ჭეშმარიტების სამსახური უფრო მაღლა დგას, ვიდრე სიყალბით, ამორალური გზით ერის სამსახური...“ ნუთუ ამ ტრივიალური აზრის წარმოსათქმელად ავიდა განსვენებული ფილოსოფოსი მაღალ ტრიბუნაზე — მხოლოდ იმის საუწყებლად, რომ ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სიყალბე (ერის სამსახურში გამოჩნდება ეს თუ სხვა ნებისმიერ საქმიანობაში)?

ამგვარი შიშველი, ჭკუისმასწავლებელი მორალიზმი ნუთუ მოსალოდნელია ისეთი რთული აზრთაწყობის (მენტალიტეტის) და განცდების მქონე მოაზროვნის მხრიდან, როგორიც მერაბ მამარდაშვილი იყო? თუმცა ის უბრალოებით მიმართავდა საზოგადოებას: შეიცანით, აღიარეთ ჭეშმარიტება! ამით ის ეუბნებოდა ხალხს ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ ჭეშმარიტების შეცნობით და აღიარებით შეიძლება გათავისუფლდეს ადამიანი, გათავისუფლდეს ისევ და ისევ საკუთარი თუ საზოგადოებრივი კერპებისგან, თავისი წარმავალი „მესგან“, პიროვნული იქნება ეს „მე“ თუ ეროვნული, რომ ეს მეობა ჭეშმარიტებით უნდა გასხივოსნდეს, როგორც პოეტი ამბობს თავისი გენიალური ლექსის ბოლოს: „მას უკვდავებით აცისკროვნებს ჭეშმარიტება“ — მას ანუ სიყვარულს სატრფოსას, სამშობლოსას... ფილოსოფოსი ეუბნებოდა მათ: **ნუ გეშინიათ ჭეშმარიტებისა, თითქოს ჭეშმარიტება დაგაკარგვინებთ სამშობლოს ან მის წილ სიყვარულს მოისაკუთრებს. ჭეშმარიტებაში არაფერი იკარგება, არამედ ყველაფერი ინახება, რადგან ის არის მარილი ამ ქვეყნისა. ჭეშმარიტების ძალა უკუნისამდეა და მერმეცა. ყოველი მასში მყოფი ასევე მარადიულია, მის გარეშე დაღუპულია არათუ ერი, მთელი სამყაროც კი უაზრობაში ჩაიძირება.**

ამ საუკუნის დასაწყისში გრიგოლ რობაქიძე წერდა არჩილ ჯორჯაძეს: „თავის მოტყუებას ძვირად დაგვიჯენს ისტორიული ჭეშმარიტება, — აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. და თუ ჭეშმარიტება აუტანელია თავის სიმკაცრით, დაე, მოვკვდეთ, რადგან არ ვყოფილვართ ღირსი ჭეშმარიტებისა და, მაშასადამე, არც არსებობისა... რა საჭიროა არსებობა, თუკი რაიმე „აზრს არ ვახორციელებთ. მამულიშვილობის გადაწყვეტა „ფიზიოლოგიური ემოციით“ ყოვლად შეუძლებელია“. ოთხმოციოდე წლის შემდეგ ეს სიტყვები კვლავ და კვლავ აქტუალურია. ის კვლავ გამოითქვა ჩვენს დღეებში, საზოგადოება კი სრული გაუგებრობით შეხვდა.

ბატონი შოთა ნადირაშვილი ბრძანებს, რომ „ისეთი აბსტრაქტული ღირებულებანი, როგორებიცაა ჭეშმარიტება, მორალი, სილამაზე, სიკეთე და სხვა...სულიერ არსებას არ წარმოადგენენ და შეიძლება გამოყენებულ იქნან ერის ან პიროვნების პრობლემების მოსაგვარებლად“. ერთიც ვნახოთ და ამ „აბსტრაქტულმა“, უსულო არსებებმა ვერ მოაგვარეს ადამიანის და ერის პრობლემები? ანუ ისე ვერ მოაგვარეს, როგორც ჩვენ დღეს, ამ წუთში გვსურს? მაშინ ალბათ ერმა თუ პიროვნებამ სხვა საშუალებებს უნდა მიმართოს. ასეც ხდება და მოხდა კიდეც: სამეცნიერო წრეებში (სადაც, ბატონ შოთას აზრით, უნდა ყალიბდებოდეს „ეროვნებისა და კონფლიქტების თეორია“) გაისმის ხმები, თითქოს ჩვენი ბედუკულმართობანი, რომლებიც დღეს განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს, ჩვენი ზედმეტი ქრისტიანობისა, გულმოწყალებისა და ჰუმანიზმის ბრალია. მეცნიერი თვალს უხუჭავს ჭეშმარიტებას შიშით, ვაითუ, ჭეშმარიტება და სიმართლე ჩვენს წინააღმდეგ ამოქმედდესო. სამწუხაროა (იქნებ სხვანაირად არც არის მოსალოდნელი), რომ დღევანდელი ჩვენი მეცნიერება ასეთი სულისკვეთებისაა, მეცნიერება, რომლისთვისაც მართლაც ყველაფერი საშუალებაა ამ ქვეყანაზე. არა მგონია, არ დამეთანხმოს ბატონი შოთა იმაში, რომ უზნეობა სწორედ ის არის, როცა ერის წარმავალ ინტერესებს (რაც ხშირად ხდება) წარუვალი ღირებულებები ეწირება. ან იქნებ ჭეშმარიტება წარმავალია, ან სიკეთეც წარმავალია და მშვენიერებაც? გუშინ გამოდგა, შეგვეწია, და დღეს უავლი გაუვიდა?

ჩვენ რა ვიცით ჩვენი მეცნიერებით — იქნებ ერი, ეროვნება, ყოველი გაერთიანება ამ ნიშნით, ან სახელმწიფო, თუნდაც იმპერია, რას ემსახურება? იქნებ ეს ყოველივე იმისთვის არსებობს, რომ ამ ქვეყნად, ადამის მოდგმაში, **ჭეშმარიტება, მშვენიერება და სიკეთე** დასადგურდეს, რომ ეს სამი რამ, ეს სამეცნიერო მიზანი, დანარჩენი ყველაფერი კი მათთან მიმართებით — საშუალება? (ასეთი თვალსაზრისიც არსებობს, იხ. ვლ.სოლოვიოვის **оправдание добра**). იქნებ ეროვნული გაერთიანება, საერთო წინაპრის ხსოვნაზე, „საერთო სისხლზე“ დამყარებული, იმისთვის წარმოიშვა ისტორიულად, რომ ამ წარმავალ წუთისოფელში, ამ განსაცდელში, ადამიანმა ისწავლოს მოყვასის სიყვარული და კიდევ სხვა რამ? ან სახლი, რომელსაც თაობები აშენებენ, მიზანია თუ საშუალება? და ეს სახლი განა დაწყვეტილი არ იქნება, თუ არ გამოდგა საშუალებად იმ მიზნის მისაღწევად, რომ ადამიანებმა უსაფრთხოდ და თანხმობაში იცხოვრონ მის ჭერქვეშ? ნუთუ თანხმობა, სიყვარული, ჭეშმარიტება, მშვენიერება, სიკეთე — ცხრა სათნოება ამ კედლებში, ამ ჭერქვეშაც აბსტრაქტული ცნებებია? ან იქნებ ბოლოს გაირკვეს, როგორც ასწავლის თითქმის ყველა რელიგიური მოძღვრება, რომ ეს მიზანიც საშუალება ყოფილა საბოლოო, აბსოლუტური მიზნის მისაღწევად, რომელიც უზენაესშია, ღმერთში.

ოპონენტის პოლემიკური მახვილი ორლესულია — ერთის მხრივ, ის იცავს ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილს, რომელსაც, მისი აზრით, ფილოსოფოსისთვის არასაკადრისი შეხედულება მიაწერეს, მეორე მხრივ ამხილებს ამ სტრიქონების ავტორს „ეროვნულ ნიჰილიზმში“. თავს ნებას მივცემ, ავიცილო ეს ბრალდება. მისი წარმოდგენით, მე თითქოს არ დავეთანხმე ბატონ გურამ გეგეშიძისეულ დახასიათებას ერისას, როგორც „ორგანიზებული მთლიანი სისტემისა“. ჩემს ნაწერში ვერავინ აღმოაჩენს ერზე ამგვარი წარმოდგენის მცირე ნიშანსაც კი. ბატონ გ.გეგეშიძესთან საუბარში გამოთქვი განსხვავებული აზრი სხვა საკითხზე, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩემთვის უცხოა ნიჰილიზმი, მით უფრო, ეროვნული. როდესაც ჩემი მეგობარი გურამ გეგეშიძე საუბრობდა ერის სიკვდილზე, მე გამოვთქვი აზრი, რომ თუკი ერის შვილებს სურთ ეროვნული იდენტიფიკაციის შენარჩუნება და გაუძლებენ კონკურენციას კულტურულ სფეროში სხვა ერებთან, ერი არ გადაშენდება, ის არ დანებდება უცხო ეროვნულ თვითშეგნებას (ცხადია, ეს ეხება მთელ ერს და არა მის ცალკეულ ინდივიდებს). ერმა უნდა გამონახოს ძალა, დარწმუნდეს და მსოფლიოც დარწმუნოს თავისი ეროვნული დირებულებაში, რადგან ერის იდეა, მიზანი მის გარეთ არის, კაცობრიობაში, კაცთა მოდგმის მთლიანობაში. კიდევ ვწერდი, რომ ერში თუ არ გაჯდა ჭეშმარიტება მის ძვლებამდეც კი (ბიბლიური გამოთქმით), მას ვერაფერი იხსნის, ვერც დამოუკიდებლობა, ვერც ღვთისმშობლის წილხვედრილობა. და კიდევ გამოვთქვი აზრი, რომ ერი, ეროვნება არ არის აუცილებლობით გამოწვეული მოვლენა, ვგულისხმობდი, რომ ის თავისით არ არსებობს, ის ყოველი თაობის საზრუნავია, როგორც კულტურული მცენარე, რადგან ერი, უპირველეს ყოვლისა, სულიერ-კულტურული მოვლენაა, რომლის შექმნა ძნელია, ნგრევა ადვილი. კიდევ ვწერდი: „თუ ერში ჭეშმარიტება არ არის, არ ღირს მისი ერად ყოფნა“. ეს არის ჩემი ნიჰილიზმი? საუბარში ვთქვი და პასუხსაც ვაგებ: „ქრისტიანობა განუზომლად უფრო მაღალი კატეგორიაა, ვიდრე ეროვნება. ქრისტიანი ერი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ერი, ეთნიური ერთობა, ერთ „გენზე“ აღმოცენებული“. აქედან ვასკვნი, თუმცა მსჯელობა არ არის გაშლილი, რომ ქართველობის ეთნოგენეზი, როგორც ერისა, ქრისტიანობამ მაღალ საფეხურზე აიყვანა. ქრისტიანობას არ წაუშლია (ამის მცდელობაც არ ჰქონია), მან განამტკიცა მისი თავისებურება, განუმტკიცებლობა, ბატონ შოთას დავესესხები, „უნიკალიზმი“, და ყველაფერს ამას ახალი აზრი შესძინა. ამაზე საჭიროა ფიქრი. ეს ისეთი პრობლემებია, რომ საგაზეთო წერილი ვერ იტვირთავს მთელი სისრულით მათ განხილვას. კიდევ ვწერ, რომ „ერის ეთნოგენეზი გრძელდება და გაგრძელდება წუთისოფლის დასასრულამდე. ის პროცესია და არ შეიძლება შუაგზაზე შეწყდეს“. ამ ერში ქართველობას ვგულისხმობ და იმ ერებს, ვისაც სურთ ერებად ყოფნა და იღწვიან ამისთვის. სადაა აქ „ეროვნული ნიჰილიზმი“?

კიდევ ვწერდი, რომ ადამიანი მხოლოდ თავისი შობით ვერ მოიპოვებს უფლებას, რომ იყოს ერის შვილი. სისხლში, ხორცში და ძვალში ეროვნულობა მთელი მისი სულიერებით რომ ინახებოდეს, საზრუნავიც არაფერი იქნებოდა. გავიხსენოთ ქრისტეს სიტყვები აბრაამიანობით მოქადულ ებრაელებისადმი: **„და ნუ ჰგონებთ და იტყვით თავის თვისით: მამაი გვივის ჩუენ აბრაჰამი; რამეთუ გეტყვი თქუენ, ვითარმედ შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჰამისა“** (მ. 3,9). მე ეროვნულობის, ეროვნული კულტურის ამ ვითომცდა მატარებელი რაღაც „გენების“ წინააღმდეგი ვარ: ამ წარმოდგენას კულტურა, რომელიც სულიერი ფენომენია, ბიოლოგიამდე დაჰყავს, მაშინ როცა ბიოლოგია მხოლოდ მატერიალური ნიადაგია, აუცილებელი, მაგრამ კულტურის შენებისთვის არასაკმარისი. მე ვწერდი: „სისხლში არის ადამიანის სიცოცხლე, სამშვინველი, მაგრამ სისხლში არ არის სული, სისხლი არ ინახავს სულიერ და კულტურულ ტრადიციებს“. სად არის აქ

„ეროვნული ნიჰილიზმი“?

ერთადერთი ფრაზა, რომელიც შეიძლება ნიჰილისტურად ჩაითვალოს. ბატონი შოთა ბრძანებს, რომ „მისი (ანუ ჩემი, ზ.კ.) აზრით: **„ადამიანი როცა იბადება, მისი ეროვნულობა მეორადი, შემთხვევითი ნიშანია და იმაზეა დამოკიდებული თუ იგი რა ეროვნულ-კულტურულ გარემოში გაიზრდება“**. ადამიანის უძირითადესი მიზნების მიღწევაში, პიროვნებად ჩამოყალიბებაში ბატონ ზურაბ კიკნაძის აზრით ეროვნულობა ძალიან მცირე როლს თამაშობს“.

ბევრი ვეძებე ჩემს ნაწერში ეს ფრაზა, რომელიც აქ მუქი შრიფტით არის დაბეჭდილი, მაგრამ ვერ აღმოვაჩინე. იგი მე არ მეკუთვნის, არც სტილია ჩემი, არც შეხედულება. იმ საუბარში არც კი მიმსჯელია პიროვნების ჩამოყალიბებაზე ეროვნულობის ასპექტში. მაოცებს ეს კურიოზული შემთხვევა. ასეთი რამ ხშირად არ ხდება. ჩვეულებრივ, ოპონენტი სწორად ვერ (ან არ) გაიგებს ხოლმე ავტორის აზრს, მაგრამ ციტატის შეთხზვა და მოწერა — ეს იშვიათობაა. ალბათ ბატონი შოთა მეტისმეტად იყო დაინტერესებული, რომ მის იდეურ მოწინააღმდეგეს ამგვარი აზრი ჰქონოდა გამოთქმული.

უმორჩილესად ვთხოვ ბატონ შოთა ნადირაშვილს, რომელსაც დიდად ვაფასებ, როგორც სწავლულსა და მოქალაქეს, ამავე გაზეთის საშუალებით უახლოეს ხანში დამიდასტუროს, რომ ზემოთაღნიშნული ციტატი მე არ მეკუთვნის.

P.S. ჩემი მხრივ, ეჭვს იწვევს ბატონ შოთა ნადირაშვილის თვალსაზრისი ერზე, როგორც სულიერ არსებაზე (ეგზისტენციაზე). ისმის კითხვათა წყება: როგორი არსებობა აქვს მას? რა დამოკიდებულებაშია ეროვნულ ინდივიდთან? დამოუკიდებელი სულია იგი, ტრანსცენდენტული ცალკეულ პიროვნებათა მიმართ თუ იმანენტური, ანუ მყოფი თითოეულ მათგანში? აქვს მას შეგნება, თვითცნობიერება, პასუხისმგებლობა, როგორც პიროვნებას, ან როგორც ანგელოსურ არსებას? რა დამოკიდებულება აქვს ჰეშმარიტებასთან, სიკეთესთან, მშვენიერებასთან? შეუძლია თუ არა ცოდვის ჩადენა და შესწევს თუ არა სინანულის უნარი? ან რა მოსდის მას, როცა ერის შვილები სცოდავენ, როცა ერთმანეთს ებრძვიან? ან ასეთი კითხვა: რა წარმოშობა აქვს მას — ცალკეულ ინდივიდთა, ერის შვილთა კრებითი სულია, რომელიც იცვლება ერის ისტორიის მანძილზე, თუ მარადიული, უცვლელი არსება, რომელიც წარმართავს ეპოქებში ერის ცხოვრებას? თუ ურთიერთობენ ერები, როგორც სულიერი არსებანი (თუკი არსებობენ რეალურად), ერთმანეთთან, ან სხვა რომელი, მათზე მაღლა მდგომი არსების წინაშე არიან პასუხისმგებელნი? აქვთ თუ არა მათ ფიზიკური სხეული და რა მოსდით, როცა სტიქიური კატასტროფები ხდება ქვეყანაში? ერთი სიტყვით, არის თუ არა იმავე კატეგორიის არსება ეს ერი, როგორიც ადამიანის პიროვნებაა? ან შესაძლებელია თუ არა უშუალო კონტაქტი — დიალოგი პიროვნებასა და ერს, როგორც ეგზისტენციას, შორის (გრ.რობაქიძის „საუბარი კარდუსთან“) რეალური მისტიური საუბარია თუ წარმოსახვითი, რისი საშუალებითაც მწერალმა მოისურვა თავისი პირადი ეროვნული მრწამსის გამოხატვა?

და ბოლოს, როგორ უნდა მივწვდეთ მას — რწმენით თუ შემეცნებით? თუ რწმენით — ის წმიდანი ან ანგელოსური არსება ყოფილა, და ქრისტიანობამ იცის და აღიარებს ერების მფარველ ანგელოზებს და წმიდანებს (მთავარანგელოზი მიქაელი, წმ. გიორგი, წმ. ნიკოლოზი, ღვთისმშობელი...), მაგრამ მის გამოცხადებაში არ ჩანს იმ ტიპის ეგზისტენციური არსებანი, როგორადაც ერი წარმოუდგენია ბატონ შოთა ნადირაშვილს. თუ მეცნიერული შემეცნებით — მეცნიერებას, მას ხომ გამოცხადება არა აქვს და რა შეუძლია, გარდა აბსტრაქტული ცნების, უსიცოცხლო თეორიული კონცეპტის შექმნისა?

ქრისტიანობა ერთადერთი რელიგიაა, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანის პიროვნების პრობლემას, ის მისი მოძღვრების შუაგულშია. ეს პრობლემა ღრმავდებოდა პავლე მოციქულიდან მოყოლებული და მწვერვალს აღწევს კაბადოკიელთა (განსაკუთრებით ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის შემოქმედებაში). სამწუხაროა, რომ თანამედროვე მეცნიერება უგულებელჰყოფს ამ მემკვიდრეობას. ქრისტიანული ანთროპოლოგია ქრისტოლოგიას ემიჯნება და მას მხედველობაში აქვს არა მხოლოდ დღევანდელი დაცემული ადამიანი, არამედ მომავალი ადამიანი, რომელმაც უნდა აღიდგინოს ღვთის ხატი და ღვთის მსგავსება მოიპოვოს.

ქრისტიანობამ ადამიანის პიროვნების ბევრი საიდუმლო განჭვრიტა, მაგრამ ის დუმს ადამიანობის ეროვნულ მხარეზე. ეს ბრძნული დუმილია. აქ არ არსებობს დოგმატი. ეს იმას ნიშნავს, რომ ან ეს საკითხი ღიად არის დარჩენილი და ელის გამოცხადებას, ან არ შედის იმ საკითხთა წრეში, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მომავალი ბედისთვის. მე ასე დავაყენე პრობლემა: საბოლოო სამსჯავროზე პიროვნებანი წარდგებიან თავთავიანთი ნამოქმედარით და არა ერები კრებულად. ქრისტიანი ერის შვილობა არ არის გარანტია პიროვნული ხსნისა. ყოველი პიროვნება პასუხს აგებს თავის ქმედებაზე — ერს ვერ გადააბარებს თავის, როგორც თავისუფალი არსების, პასუხისმგებლობას, და ვერც თავის პირად ცოდვებს გადააბრალებს მას, ვერ შეაფარებს თავს ერის სულს პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. (ჩემი თვალსაზრისი ქრისტიანული ერის არსზე სხვა, კერძოდ, ისტორიული კუთხით გამოთქმული მაქვს ეტიუდში **ერი და ქრისტიანობა**, იხ. გაზ. „მადლი“, ნ.2, 1990).

19 მაისი, 1992 წ.

(ხს. მართლისა იობისა)

თანხმობაც, სამართლიანობაც

(ბატონ გიორგი ხოშტარიას ერთი პუბლიკაციის გამო)

სოსო ცინცაძე

ეროვნული თანხმობა ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სახელმწიფოს პროგრესისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი პირობა რომ იყო, ეს ქრესტომატიული ჭეშმარიტებაა. არც ის უნდა იყოს ნობელის პრემიის ღირსი აღმოჩენა, რომ ჩვენ დღეში ჩავარდნილი ერისათვის ათჯერ და ასჯერ უფრო საშიშია ეროვნული შუღლი და კონფრონტაცია, ვიდრე ვთქვათ იგივე ესპანეთის, ბელგიისა თუ კანადისათვის. ალბათ ამიტომაც არის, რომ რაც უფრო გაჭიანურებულ ფორმებს ღებულობს ეროვნული დესტაბილიზაცია, მით უფრო ხშირად ვხვდებით ამ პრობლემას ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ავტორთა უმრავლესობა მხოლოდ ფაქტის კონსტატაციითა და რეალურად მოსალოდნელი, ყველასათვის ცნობილი საფრთხის კიდევ ერთი შეხსენებით კმაყოფილდება და თავს იკავებს „დიდი შერიგების“, კრიზისიდან თავის დაღწევის საკუთარი პროგრამის შემოთავაზებისაგან. ყველამ ვიცით, რომ შერიგება აუცილებელია, მაგრამ როგორ? რა პირობებზე? რა დათმობებზე უნდა წავიდნენ მხარეები? ფაქტია, რომ მოგვწონს თუ არა, ეს უკვე პოლიტიკური პრობლემაა. პირისპირ აღმოჩნდა ორი პოლიტიკური ძალა, პირუთვნელი ისტორია თავის დროზე იუველირის სასწორის სიზუსტით განსაზღვრავს თუ რომელ მხარეზე იყო მეტი სიმართლე, დღეს კი ჩვენთვის ხელმისაწვდომი სამართლიანობის საფუძველზე იმას მაინც შევეცადოთ, რომ ფსიქოლოგიური ფონი შევქმნათ კეთილგანწყობილი დიალოგისათვის. ამ საკითხზე საუბარი (შეგნებულად არ ვამბობ — კამათი) ძნელი არ უნდა იყოს სამართლიანობის ლიგის თავმჯდომარესთან, მითუმეტეს, რომ მხოლოდ მეტი სიცხადე მინდა შევიტანო მის დებულებებში სწორედ სამართლიანობის დომინირების თვალსაზრისით (მხედველობაში მაქვს გაზეთ „საქართველოს“, № 18-ში გამოქვეყნებული წერილი — „რევანში თუ ეროვნული თანხმობა?!“).

რასაკვირველია, თუ დღევანდელ ხელისუფლებას ეყოლება ცივილიზებული ოპოზიცია, ეს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს მას. პირადად მე, სერიოზულ საშიშროებად სწორედ ის მომაჩნია, რომ ხელისუფლებას არა ყავს კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც არც ერთ შეცდომას არ აპატიებდა. პრიმიტიული ლანძღვა, რომ ე.შევარდნაძე მოსკოვმა ქართველების მოსასპობად გამოგზავნა და მთავრობის კურსი შეგნებულად ანტი-ქართული და ანტი-ეროვნულია, სასიკეთო კრიტიკის მიღმა დატოვებს ხელისუფლებას, მის დღევანდელ თუ ხვალინდელ გარდუვალ შეცდომებს. **ისეთი აზრიც არსებობს, რომ დღევანდელი ხელისუფლების ნებისმიერი კრიტიკა ჯერ-ჯერობით მიზანშეუწონელი და სახიფათოაც კია, ვინაიდან ამას საკუთარ პოლიტიკურ-დესტრუქციულ ინტერესებში გამოიყენებენ წინა ხელისუფლების მომხრეები, ხოლო რეალური ხელისუფლება კი, რომელიც თითქმის შეეგუა ოპოზიციონერობას (ამ მცნების კლასიკური გგაგებით), ყოველ კრიტიკას ავტომატურად აღიქვამს ზვიადისტთა ინტრიგებად.** არც ის არის გამორიცხული, რომ კვლავ გაიხსენონ ტერმინი „ქუჩის ოპოზიცია“, რომელიც ყოფილმა ხელისუფლებამ დაამკვიდრა პოლიტიკურ ლექსიკონში. ნაზდვილი ოპოზიცია არასოდეს ყოფილა და არც შეიძლება იყოს ქუჩის, ისევე როგორც პიკეტები და „აქციები“, პოლიტიკური ბრძოლის ნაკლებადმიღებული ფორმებია. მასობრივი საპროტესტო მსვლელობები და მიტინგები უფრო პროფკავშირული მოძრაობის ხელწერაა, რომელიც ძირითადად წმინდა სოციალურ მოთხოვნებს ეფუძნება.

ოპოზიციის მთავარი მიზანი ხელისუფლების საფათვეში მოსვლა ან დაბრუნებაა. ეს ბუნებრივია, თუმცა ობიექტურად კომპეტენტური, სერიოზული, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ოპოზიცია, თავის მთავარი მიზნის მისაღწევად არასოდეს იმოქმედებს პრინციპით — „რაც უარესია, მით უკეთესია.“ მას მართლაც „ჩასაფრებული“ პოზიცია უკავია, მაგრამ იმ გაგებით, რომ თუკი ხელისუფლების შეცდომას შეამჩნევს, იმ წამსვე განგაშს ასტეხს, რათა შეცდომის გამოსწორება აიძულოს მთავრობა. ამ გზით ოპოზიციაც ქულას იღებს და საერთო საქმეც არ ზიანდება. ამიტომ არის, რომ ნორმალურ საზოგადოებაში ხელისუფლება მოსასლე მტრად არ მიიჩნევს ოპოზიციას, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში არც თუ იშვიათია პრაქტიკა, როდესაც ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის განხილვისას ოპოზიციის წარმომადგენელი მმართველი პარტიის კანონპროექტს უჭერს მხარს და პირიქით. მათ მოლალატეებად, მით უმეტეს „ერის მტრებად“ არ მიიჩნევენ. ოპოზიციას, რომელიც არ თაკილობს თავის ეგოისტურ, ვიწროპარტიულ ინტერესებს ანაცვალოს ქვეყნის ეროვნული ინტერესები, ნაკლებად შეიძლება ქონდეს არჩევნებში ელექტორატის მხარდაჭერის იმედი. მეორეს მხრივ, ვერც მმართველი პარტია მისცემს თავს უფლებას, რომ ჯეროვანი პატივით არ ეპყრობოდეს ოპოზიციას, შეურაცხყოფას აყენებდეს მის ლიდერებს. შემთხვევითი არ არის, რომ ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში, მმართველი პარტიის მთავრობა, ამა თუ იმ ფორმით რთავს ოპოზიციის ხელმძღვანელებს ვადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, ხოლო უკანასკნელნი კი, არ გაურბიან პასუხისმგებლობას. ლოიკა იოლი ასახსნელია თავისი „პარტიული“ დიალოგისათვის. ამ საკითხზე საუბარი (შეგნებულად არ ვამბობ — კამათი) ძნელი არ უნდა იყოს სამართლიანობის ლიგის თავმჯდომარესთან, მითუმეტეს, რომ მხოლოდ მეტი სიცხადე მინდა შევიტანო მის დებულებებში სწორედ სამართლიანობის დომინირების თვალსაზრისით (მხედველობაში მაქვს გაზეთ „საქართველოს“, № 18-ში გამოქვეყნებული წერილი — „რევანში თუ ეროვნული თანხმობა?!“).

რასაკვირველია, თუ დღევანდელ ხელისუფლებას ეყოლება ცივილიზებული ოპოზიცია, ეს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს მას. პირადად მე, სერიოზულ საშიშროებად სწორედ ის მომაჩნია, რომ ხელისუფლებას არა ყავს კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც არც ერთ შეცდომას არ აპატიებდა. პრიმიტიული ლანძღვა, რომ ე.შევარდნაძე მოსკოვმა ქართველების მოსასპობად გამოგზავნა და მთავრობის კურსი შეგნებულად ანტი-ქართული და ანტი-ეროვნულია, სასიკეთო კრიტიკის მიღმა დატოვებს ხელისუფლებას, მის დღევანდელ თუ ხვალინდელ გარდუვალ შეცდომებს. **ისეთი აზრიც არსებობს, რომ დღევანდელი ხელისუფლების ნებისმიერი კრიტიკა ჯერ-ჯერობით მიზანშეუწონელი და სახიფათოაც კია, ვინაიდან ამას საკუთარ პოლიტიკურ-დესტრუქციულ ინტერესებში გამოიყენებენ წინა ხელისუფლების მომხრეები, ხოლო რეალური ხელისუფლება კი, რომელიც თითქმის შეეგუა ოპოზიციონერობას (ამ მცნების კლასიკური გგაგებით), ყოველ კრიტიკას ავტომატურად აღიქვამს ზვიადისტთა ინტრიგებად.** არც ის არის გამორიცხული, რომ კვლავ გაიხსენონ ტერმინი „ქუჩის ოპოზიცია“, რომელიც ყოფილმა ხელისუფლებამ დაამკვიდრა პოლიტიკურ ლექსიკონში. ნაზდვილი ოპოზიცია არასოდეს ყოფილა და არც შეიძლება იყოს ქუჩის, ისევე როგორც პიკეტები და „აქციები“, პოლიტიკური ბრძოლის ნაკლებადმიღებული ფორმებია. მასობრივი საპროტესტო მსვლელობები და მიტინგები უფრო პროფკავშირული მოძრაობის ხელწერაა, რომელიც ძირითადად წმინდა სოციალურ მოთხოვნებს ეფუძნება.

ოპოზიციის მთავარი მიზანი ხელისუფლების საფათვეში მოსვლა ან დაბრუნებაა. ეს ბუნებრივია, თუმცა ობიექტურად კომპეტენტური, სერიოზული, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ოპოზიცია, თავის მთავარი მიზნის მისაღწევად არასოდეს იმოქმედებს პრინციპით — „რაც უარესია, მით უკეთესია.“ მას მართლაც „ჩასაფრებული“ პოზიცია უკავია, მაგრამ იმ გაგებით, რომ თუკი ხელისუფლების შეცდომას შეამჩნევს, იმ წამსვე განგაშს ასტეხს, რათა შეცდომის გამოსწორება აიძულოს მთავრობა. ამ გზით ოპოზიციაც ქულას იღებს და საერთო საქმეც არ ზიანდება. ამიტომ არის, რომ ნორმალურ საზოგადოებაში ხელისუფლება მოსასლე მტრად არ მიიჩნევს ოპოზიციას, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში არც თუ იშვიათია პრაქტიკა, როდესაც ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის განხილვისას ოპოზიციის წარმომადგენელი მმართველი პარტიის კანონპროექტს უჭერს მხარს და პირიქით. მათ მოლალატეებად, მით უმეტეს „ერის მტრებად“ არ მიიჩნევენ. ოპოზიციას, რომელიც არ თაკილობს თავის ეგოისტურ, ვიწროპარტიულ ინტერესებს ანაცვალოს ქვეყნის ეროვნული ინტერესები, ნაკლებად შეიძლება ქონდეს არჩევნებში ელექტორატის მხარდაჭერის იმედი. მეორეს მხრივ, ვერც მმართველი პარტია მისცემს თავს უფლებას, რომ ჯეროვანი პატივით არ ეპყრობოდეს ოპოზიციას, შეურაცხყოფას აყენებდეს მის ლიდერებს. შემთხვევითი არ არის, რომ ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში, მმართველი პარტიის მთავრობა, ამა თუ იმ ფორმით რთავს ოპოზიციის ხელმძღვანელებს ვადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, ხოლო უკანასკნელნი კი, არ გაურბიან პასუხისმგებლობას. ლოიკა იოლი ასახსნელია თავისი „პარტიული“ პრაგმატიზმით — ხვალ თუ არა ზეგ, აუცილებლივ შეიცვლება როლები. გლადსტონი ხშირად იმეორებდა — ოპოზიცია ჩემი ხვალინდელი დღის დანახვაში მეხმარებაო. ამიტომაც არის, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პრემიერი თუ პრეზიდენტი ენას მოიჭრის, ვიდრე „უბადრუკებს“ უწოდებს თავის კონკურენტებს, რაც არ უნდა დაბალი შეხედულებისა იყოს მათზე, ამიტომაც არის, რომ დიქტატურა ორგანულად ვერ იტანს ნებისმიერ ოპოზიციას, ამიტომაც არის, რომ დემოკრატიული საზოგადოება არ არსებობს და ვერც იარსებებს ოპოზიციის გარეშე.

ეს ყველაფერი თითქოს ანბანური ჭეშმარიტებაა და ერთის შეხედვით საერთოც ბევრი არაფერი აქვს ბატონ გიორგის ზემოთნახსენებ წერილთან. სინამდვილეში კი სპექტრი გაცილებით ფართოა. კვლავ ეროვნულ თანხმობას მივუბრუნდეთ; სულ რომ ციცერონებად ვიქცეთ და თითო დაპირისპირებულ ქართველს თითო კაშპიროვს კი მივუჩინოთ, გახდება ყოველი „ზვიადისტი“ „ედუარდისტად“ ან „თენგიზისტად“ და პირიქით? სასაცილოა, არა? დღეს ნაკლებად აქტუალურია ინტელექტუალურ-აბსტრაქტული მსჯელობა „ზვიადიზმზე“ და „ანტი-ზვიადიზმზე“. გავიმეორებ — დღეს ეს უკვე პოლიტიკური პრობლემაა და პირველ რიგში პოლიტიკურ მიდგომას საჭიროებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს დემოგრაფიული მოტივითაც არ შეუძლია უარი თქვას ქართველთა გინდ სულ მცირე ნაწილზე. გამოსავალი ერთია — **ყველა პოლიტიკური დაჯგუფება უნდა ჩაებას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუ გნებავთ პოლიტიკურ ბრძოლაში. აუცილებელი არ არის, რომ დიალოგის შედეგად მხარეთა სრული შერიგება დავგეგმოთ; დარჩნენ თავიანთ პოზიციებზე, დარჩნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად, მაგრამ ცივილიზებული ნორმების დაცვით გაარკვიონ ურთიერთობანი. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფრონტაცია, რომელსაც არც ახლა აკლია სიმწვავე, ისეთ ფორმებში გადაიზრდება, რომ ეროვნული თანხმობის აღდგენა კი არა, ერთმანეთთან დალაპარაკებაც კი შეუძლებელი იქნება.**

დიალოგი შეუძლებელია სიტყვისა და აზრის თავისუფლების გარეშე; ჯერ კიდევ რობდის თქვა ბრძენმა ვოლტერმა — „თქვენი აზრი ჩემთვის ღრმად მტრულია, მაგრამ მზად ვარ სიცოცხლე შევწირო თქვენს უფლებას გამოთქვათ იგიო“. ის, რასაც ვოლტერი თავისთავად გულისხმობდა, შემდგომ საუკუნეებში [illegible] აკონკრეტა სწორედ [illegible] მა საზოგადოებამ — სიტყვის თავისუფლება სულაც არ ნიშნავს ლანძღვისა და ცილისწამების თავისუფლებას. არც ერთი მთავრობა არ მოითმენს პოლიტიკური თუ ეკონომიკური დესტაბილიზაციისაკენ, შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდებებს.

საქართველოში დღეს ალბათ არ არსებობს ადამიანი, თეორიულად მაინც, რომ არ ესმოდეს ემოციების დამღუპველი როლი პოლიტიკაში, პრაქტიკულად კი დღევანდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ქმედება ემოციათა მოჭარბებით უფრო აიხსნება, ვიდრე ცივი გონებით. როგორი გზითაც არ უნდა იყოს ხელისუფლების სათავეში მოსული მთავრობა, დღეს ის რეალურად არსებობს და როგორც სჩანს, სამხედრო თვალსაზრისით ყოფილ ხელისუფლებაზე მეტი სიმტკიცით დაიცავს თავს საჭიროების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ძველი რეჟიმის მომხრეთათვის უპერსპექტივოა მასთან სამხედრო კონფრონტაცია, ხოლო ქვეყნისთვის ამას შეიძლება კატასტროფული შედეგებიც მოჰყვეს. ამიტომ, თუკი ყოფილი პრეზიდენტი და მისი უახლოესი თანამებრძოლნი, დღეს რომ თან ახლავან, ცნობილი ფრანგი მონარქის ლოზუნგით არ ხელმძღვანელობენ — „ჩვენს შემდეგ გინდ წარღვნაო“ — მათ უარი უნდა თქვან უაზრო სისხლისღვრაზე და დივერსიებზე და, პოლიტიკური მეთოდებით გააგრძელონ ბრძოლა. ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ დრო მათზე არ „მუშაობს“. არჩევნების შემდეგ განეიტრალდება მათი მთავარი არგუმენტი.

რაც შეეხება მომავალ არჩევნებს; ისტორიული ანალოგიები მომგებიანია პოლიტიკაში, მართალია ბევრი რამ მეორდება რხევის განსხვავებული ამპლიტუდით. დროულად შეგვახსენა ბატონმა გიორგიმ სტიუარტები და ბურბონები, თუმცა ინტერპრეტაციაში ვერ დავეთანხმები; ჯერ ერთი, სტიუარტებსაც სრულად ეხება ტალეირანის კალამბურგივით მოხდენილი მწარე ირონიული ფრაზა ბურბონებზე — „არც არაფერი დაივიწყეს და არც არაფერი ისწავლესო“. მეორეც კიდევ, ისევე როგორც კრომველის შემდეგ ყოვლად უპერსპექტივო ანომალია იყო „ძველი ჩამოსხმის“ სტიუარტების რესტავრაცია, ხოლო საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის შემდეგ კი ბურბონების, ასევე **უპერსპექტივოა და აქედან გამომდინარე ნაკლებ საშიშია „რევანშის სურვილით აღსავსე ძველი პროკომუნისტური ძალები“.** მთავარი კი მაინც ის გახლავთ, რომ რესტავრაციის პროცესს პოლიტიკურ სარბიელზე ცალკეულ პიროვნებათა დაბრუნება ვერ განაპირობებს, ამისათვის იმ სტრუქტურებისა და მექანიზმების აღდგენაა საჭირო, რომლთა ორგანულ ნაწილსაც ისინი წარმოადგენდნენ. ცალ-ცალკე ისინი არაფერს არ წარმოადგენენ, აქ აუცილებელია ბინარული იარაღის პრინციპი. კომუნისტური სტრუქტურებისა და მექანიზმის, ერთი სიტყვით კომუნისტური წყობის აღდგენის საფრთხე კი ვგონებ ერთადერთია, რომელიც არ გვემუქრება.

სწორია ბატონი გიორგი — ხანმოკლე სამოქალაქო ომიც კი დამღუპველია ჩვენთვის, მაგრამ ვიყოთ ბოლომდე სამართლიანნი და ისიც ვთქვათ, თუ საიდან მოდის დღეს სამოქალაქო ომის საფრთხე. დავუშვათ მართლაც „რესტავრაციული პროცესებიდან“, მაგრამ მაშინ გაუგებარია, ვის რესტავრაციას შეიძლება მოჰყვეს სამოქალაქო ომი. პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის? ასეთ თეზისს მეტი არგუმენტაცია ესაჭიროება, თანაც დამაჯერებელი. ჯერ ხომ შევარდნაძის დაბრუნების ხსენებაც არ იყო, რომ საქართველოს რიგ რეგიონებში რეალობად იქცა სამოქალაქო ომის მდგომა-

(დასასრული მე-8 გვ.)

ვერტიკალურად, ზევით, „საქართველოვ“!

(ანუ ღია წერილი გაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს)

ჯემალ აფციაური

ბატონო ნოდარ!

თუმცა ამ წერილს ვერტიკალური სათაური აქვს, სრულ გარანტიას ვიძლევი, რომ ჩემს აბსოლუტურად ჰორიზონტალურ სტრიქონებში მხოლოდ სიმართლის ნერგებს ჩავყრი და, თუ ღვთის წყალობაც იქნა, იქნებ ვაბარო კიდეც...

დაე, მკითხველმა თავიდანვე იცოდეს, ბატონო ნოდარ, რომ ჩვენს შორის მხოლოდ ღიმილიანი ურთიერთობა იყო. რამდენჯერ დავწაფებივარ ამ ოაზისის ცივ წყაროს ზოგჯერ უდაბნოდ ქცეულ ჩემს ცხოვრებაში. სახალხო ფრონტის გაზეთისათვისაც თქვენი რედაქტორობა ნათლობა და მირონცხება გამოდგა, იცით სტრიქონის დაჭაშნიკება, სიტყვის ფსკერი და ზედაპირი. ისიც მომწონს წერილიდან არაფრისმთქმელ მსჯელობას შრატივით რომ გადაღვრით ხოლმე და მხოლოდ კარგად ნადღვებ აზრსა და დაფრთიანებულ ფიქრს დაუტოვებთ მკითხველს, ხმაშიც თითქოს ფუტკარი გიზუზუნებთ, პურ-ღვინოსაც უყვარხართ და რედაქციაშიც ნიჭით შუბლანთებული ისეთი ბიჭები გისხედან, როგორც ემაგ გაზეთის დაღვინებულ სახელწოდებას ეკადრება. ეს ჩემი აზრია, ჩემო ნოდარ და, ვფიქრობ ეს აზრი ვენახივით აჰბმია სიმართლის ჰიგოს, ამიტომ, ძალიან გთხოვთ, რედაქტორის კალმით ნუ დამითხრით ამ სტრიქონებს, რატომ? იმიტომ, ჩემო ნოდარ, რომ, თუ ქართველი ქართველს წამწამებითაც კი სცემს, ყველაფერი თითქოს რიგზეა, ხოლო თუ კარგი რამ თქვა, ისე ავიმრიზებით, თითქოს ვინმე უგუნური მზესა რთავდეს... ეს ყველაფერი სხვათა შორის... თორემ იქნება, ვინმეს ეფიქრა, მორჩა, ამ წერილის შემდეგ ორივეს ერთ ბილიკზე აღარ გაევლებათ, ერთმანეთის შეხედვა მუნს შეჰყრითო...

ახლა კი, რადგან მიტევების ინდულგენცია ჯიბრში მიდევს, ის ვთქვათ, თუ ეს წერილი ჩემი მაგიდიდან თეთრი მერცხალივით რატომ წამოვაფრინე, განა რა სარეველა ვნახე თქვენს გაზეთში ისეთი, რომ კალამს გაჩუმება აღარ შესძლებიყო?.. სამწუხაროდ, ვნახე კი არა, ვხედავ. ჩემო მეგობრებო, როგორ არ მინდა ჩემს საყვარელ გაზეთს, ერთ დროს ირაოშეკრულ მამინოს, ახლა ნალესი ბრჯოლის ნაცვლად ქათმის ფეხები ეკიდოს და ნისკარტადაც ბუტატინოს ცხვირი ჰქონდეს. წინასწარ ნუ გამიბრაზდებით, რასაც ვამბობ, ისევ თქვენი და თქვენი ერთ დროს მართლა კარგი გაზეთის სიყვარულით მომდის, თორემ განა არ ვიცი, რომ ამით ლოყებს წინდაწინევე ვიხურებ იმ სილების დასაცხობად, თქვენს საპასუხო წერილში ფენა-ფენა რომ ეწყობა. მაგრამ, რა ვქნა, მშიშარათა „გორიდან“ არა ვარ და მოხდეს, რაც მოსახდენია. „საქართველო“, პრეტენზიულს ვერ ვიტყვი, მაგრამ ძალზე ბევრის დამტევი სახელწოდება კი არის. სულ მას ეკითხვის, სად ქართული ცის კალთა ჩაიხევა, სად ქართულ მიწას ოხვრა აღმოსკდება, სად ქართველ კაცს შუბლი წვეთ-წვეთად ჩამოადნება გახედნავი ერთვნული პრობლემების მოვლა-პატრონობაში. ასეთი გაზეთი მერიოჭიკე ბერივით უნა დადიოდეს საქართველოში, მისიონერივით უკან ჯვარს უნდა მისდევდეს. ეს ასე მჯერა, არაფერია იმაზე საშინელი, როცა ერთდროულად გაღმა-გაღმაა ხარ, ბოტივით გალაჯული, როცა წვერით მღვდელი ხარ და შუბლით ინკვიზიტორი. მე ასე ვიცი, ბატონო ნოდარ, თქვენმა გაზეთმა ერთ დროს საქართველოს წინაშე პირობა დადო — ეს ნიკორწმინდის ჩუქურთმასავით ლამაზი სახელი იმიტომ დავარქვი, რომ ჩემი ყველა ახალი ნოშერი დემოკრატიის ამოზეთქილი ყლორტი იქნებაო... რა გვეთქმოდა? როცა მართლა სიმართლეს ლესავდით და ყოფილ ხელისუფლებას წამწამებსაც კი უთვლიდით, როცა სანგრებივით ნათხარი სტრიქონებით იყო ხოლმე სავსე ყველა თქვენი ბუბლიკაცია, როცა ყველა „წერტილი“ ნაღმივით გიშინებედათ, როცა დემოკრატიული წკიპურტებით ულივებდით შუბლს ხელისუფლების ბევრ მუზმუზელას, როცა სწორედ თქვენი გაზეთიდან ამბობდა სათქმელს განრისხებული თეთრი საყელო... ასეთი მახსოვს თქვენი გაზეთი - ფუტკარივით თამამი, ფუტკარივით დემოკრატი... „ვაჰ, დრონი, დრონი, წასულნი მტკბარად“, ვაჰ, მკვდარო ვაკაცებსაო, გულზე დაკრეფავ ხელისა! ეს ხმით ნატირალიც თქვენზეა, ჩემო ნოდარ, თქვენს განსვენებულ დემოკრატობაზე, თქვენს აკაკანებულ სიმხდალეზე, თქვენს ცალხელა პუბლიცისტიკაზე. მას ვინც დემოკრატობაზე დებს თავს, სიფხიზლის დაუძინებელი მამალი უნდა ეჯდეს მკლავზე, ჰუმანურობის კეკლუცა პრინციპებს უნდა ედგეს მცველად და ეგბურად და არასოდეს არ უნდა ჩამოიფხატოს მსახურის ჩაჩი, ანუ ცალი მხარი ტარიელისა არ უნდა ჰქონდეს და ცალი კი კვაზიმოდოსი. თქვენზე რომ გული მტკივა, იმიტომ ვიღლი ხმას, თორემ რატომ პუბლიცისტიკის მარსის პოლიგონზე არაფერს ვამბობ, დღესაც რომ „დრონი“ ჰქვია?!. დალაი, დალაი შენს ხსოვნასა, ჩემო საყვარელო გაზეთო, როგორ გაგცვეთია ვაჟკაცობა, როგორ ცომივით აზელილა შენი პრინციპულობის გრანიტი, ნეტავ ცალ მხარეს კისერმოქცეულს, აქეთ-იქითაც გაგზეულ-გამოგხედა, მოგესმინა, ან გაბედულების ხმა რას ამბობს, ან შიშის სიჩუმე, ნეტავ სახალხო ფრონტისა მაინც არ იყო, ფრონტისა, ვისი შოვალეობაც ხალხის გულის ძგერის კარდიოლოგობაა, უპირველ ყოვლისა. დიახ, თამამი იყავ, „საქართველოვ“, თამამი წინა ხელისუფლებისას. ასეთი კი, აბა, როგორ იქნებოდი რომ არა შავი წყლით პირნახანი დიქტატორი პრეზიდენტი და, საერთოდ, ის დიქტატურა, რომლის შიშითაც მთებიც კი კანკალებდნენ და მტკვარს თბილისთან ჩავლა არ უნდოდა, ის რომ არა, ვინ მოგცემდათ იმ ნაქები სითამამის უფლებას, ვინ გაპატიებდათ იმას, რომ ასე ხშირად კალმის ფურთხი თვით პრეზიდენტისათვისაც კი მიგეგდოთ? ახლა სხვა დროა და შენც შეიცვალე, გენაცვალოს ჩემი თავი — ჩატკბი, ჩაქიშმიდი, ჩაფლამუშდი, გამარჯვების ნექტარით დათვერი ოლიმპოს ფეხშიშველა ღმერთივით, ფრთხილიც გახდი, რბილი ფარდაგებივით გიფენია საგაზეთო სვეტები იმათთვის, ვინც ახლა მოსულსა და ახალს დაბლიდან შემღერის, ხოლო, ვისაც წამოსცდება „ის მაინც ბრუნავსო“, სულხან-საბას ხმით დაუწყეთ ხოლმე დარიგებას — იქნება მისი სიბრიყვის მყრალი ჭა როგორმე ამოსწმინდოთ და განსხვავებული აზრის უსისხლო აზარტით გართულებს, გავიწყდებათ ან გაზეთი რისთვის გაჩნდა ამ ქვეყნად, ან აზრი, ან საერთოდ ადამიანი... განა ბუზებს გინიავებთ, განა მარტო ხმისა და სიტყვის იმედად ვარ — იმ დღეს აკი შევცდი დ ერთი წერილი რამ შემოვაფრინე თქვენს რედაქციაში. ის მანდ იყო, მე სახლში და გინდ დამიჯერეთ, გინდ არა - იქ მომესმა იმისი გმინვა და გოდება — მოდი, მიშველე, დამკლეს, დამასაჭურისეს, ცალი მხარი ჩამომთიბეს და იქ ერთითლა ვარ, ახლისაკენ რომ შეჭონდა მოქცეულიო, მიეგდი, ვნახე და რას ვხედავ, მელნით შემოხაულ გალიებში სხედან ნახევარზე მეტი აზრები. ეტაპში გასაგზავნი პატიმრებივით მოუწყენიათ და იმ ჩემი ნაკალმევიდან თავ-კუდილა ჭკიდია, მივაბ-მოვაბი იმ მარტვილის სისხლიანი ნაფლეთ-ნაგლეჯი, და „კაბადონში“ დაგბეჭდე. სათაური კი ასეთი ჰქონდა „როდემდის ვთესოთ სიძულვილი“... აბა, ყური დაუგდეთ, რა წმინდა ხმით რეკენ ეს სიტყვები.

იქნება კითხოთ „კაბადონის“ რედაქტორს, რა ნახა ამ წერილში ისეთი არსანახავი, რომ თქვენ, ახლის ერთგულთ და ეგზურთ, კეფაზეც კი თვალები გამოგასხათ და შიშს მიგცათ? ამაზე ითქმის სწორედ-მეტმა ერთგულებამ რა მიყოო... საკუთარ თავზე სიტყვას არ დავძრავდი, ეს რომ საერთოდ გაზეთის პოზიციად არ ჩანდეს ავტომატს დამალოცვინებს, რა მდგომარეობაც არ უნდა იყოს ქვეყანაში — უგანგებო თუ საგანგებო. თქვენ წარმოიდგინეთ თვით ვალერი კვარაცხელიაშიც კი მ...წ...ნა ამ აზრით თავი — ყოფილი პარლამენტის რიტორთან და ფილადელფოს კიკნაძესთან — ბ-ნ თემურ ქორიძესთან ინტერვიუში. ყური ხომ არ მატყუებს — მეთქი და უფრო გავუფაციცდი იმ „თემურიადას“, არა, ასე იყო... რა კარგად უბრძანებია სულმნათ აკაკის — „ეკალში ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო“... მაგრამ ეს, სხვათა შორის, რატომ ერთხელ მაინც არ აღიმაღლეთ ხმა ამის წინააღმდეგ, ბატონებო? დიახ, მთავრობა მთავრობაა და ვერ უნდა ითმენდეს შეიარაღებულ მომიტინგეს, ისტერიულ ღრიანცელს, მაგრამ, თუ ხალხს თავისი აზრის საჯარო გამოთქმა სურს და სურს კორექტულად, განა ამის უფლება არ უნდა მიეცეს? თქვენ კი, ჩემო მეგობრებო, თურმე იმ „იავნანად“ ჩაგესმთ ავტომატების კკანი, აკვანში ჩაკრულ საქართველოს დემოკრატიულ მომავალს რომ გაგვიზრდის. არა, სიტყვა არ გამქცევია, მახსოვს ერთ პუბლიკაციაში როგორის ბოდიშის მოხდით, და ესპანური რევერანსებით მიმართავდით, ვისაც ჯერ არს — კარგია, ბიჭებო, ხელი რომ ჩახმახზე გიდევთ, „ზვიადისტებს“ დვინო უყართ, მიტინგიც მოცლილი ქალების სექსუალური როკვაა, მაგრამ, საყვარლებო, ავტომატის ლულა ცოტა მაღლა, ვერტიკალურად დაიჭით, ერთი წუთითაც არ დაივიწყოთ, რომ ჭეშმარიტი დემოკრატი სწორედ ასე იქცევაო. შაბაშ, თქვენს სიტყვას! ლოგიკის ასეთ ციტადელთან პლატონიც კი თავს დახრიდა. მგონი, რედაქციაში ილიას სურათი გიკიდიათ და, ეგება, შეგეხედათ, ამის თქმისას ხომ არ გაფითრდა, ნატყვიარ შუბლზე ხომ არ იტაცა ხელი, ხომ არ წამოიკვნესა? ამის წამკითხავს, რაღა დამაძინებდა. მთელი ღამე მამალი დამყოფდა თავზე, საკუთარი კანი მიჭერდა და ვუტრიალებდი ათას საფიქრალსა და მანამდე უფიქრალს. „მაღლა, ბიჭებო, ვერტიკალურად“ — ყურში ჩამესმოდა ხმა საშინელი, როგორც ცერბერის ღრენა, როგორც ყეფა საკუთარი სისხლისა. აქ კიდევ ერთი საკითხი მინდა განვსაჯო — „ზვიადისტი“ იცით, ვინ არის, მეგობრებო? - ის, ვინც ზვიად გამსახურდია კულტად გიიხადა და ამ კულტის თაყვანისცემით მუხლებს იყვლეფს, მასთან და მის გარშემო ყოფილ „ზვიადისტები“ დასიცხული ბაყაყებივით კი ყიყინებენ, მაგრამ მთლად წიხლით ნუ შესდგებით, ცალი ფეხით თელეთ, რაც არ უნდა იყოს, ხალხი იყურება, ჩვენ კი დემოკრატები ვართ, განა ვინმე სხვაო. რა ჰქვია ამაებს, თქვენს ამ საგაზეთო რეცეპტებს, მეგობრებო? ალბათ, კოსმეტიკური პანღური, ზემოთ რომ აგვაგდებს ხოლმე, რათა ტანი ავიყაროთ და სულიერადაც ავმაღლდეთ, ამიტომ, მოდით, შევთანხმდეთ, „ზვიადისტები“ კი არ არიან ისინი, ვინც ავსა და ცუდს ძველშიც ხედავს და ახალშიც, ისევე როგორც კარგის ელემენტებს, არამედ ჭკვიანი, გაბედული, მოაზროვნე ადამიანები, რომლებსაც თავში ტვინის ორივე ნახევარსფერო თანაბრად უმუშავებთ, მათი ქმედებისა და სიტყვის ამოსავალი წერტილი საქართველოა და არა ესა თუ ის მთავრობა, სხვათა შორის, ორივე მძიმე ცოდვილი, ორივე შეუნდობელი, ორივე ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე ღირსია ქართველი ერი თავისი ისტორიული ტანჯვითა და დემონურ ძალებთან გაუთავებელი ბრძოლით.

როგორც დათა ბატონი იტყოდა, „ასეა ეს“...

დიახ, დღეს საქართველოს სტაბილიზაცია სჭირდება — ვისაც არ უნდა ეწყინოს, პირდაპირ ვიტყვი — უცოდველი არავინ არის და ყოფილ ხელისუფლებას ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე კი არ უნდა ელანძღა, მხარში უნდა ამოეყენებინა, მისი უზარმაზარი ავტორიტეტითა და გამოცდილებით ესარგებლა. განა სტაბილიზაცია ერთის ლანძღვა-დამცირებით და მეორის განდიდებით მიიღწევა ამ ჩვენს მოქმედ ვულკანად ქცეულ საქართველოში? არა მგონია. ამიტომ ყველა გაზეთი და მათ შორის „საქართველოც“ თანხმობის გზებს უნდა ეძებდეს და არა ერთგულებასა და სიყვარულს ეფიცებოდეს მთავრობას სოფლის ორღობეში გამარტოვებული გოგო-ბიჭივით. თქვენი პოზიცია, ჩემო მეგობრებო, დაახლოებით ისეთივეა, საითკენაც სახალხოდ მოგვიწოდა ინფორმაციის მინისტრმა - ჟურნალისტი, მწერალი, საერთოდ კალმის კაცი, რა თქმა უნდა, თავისუფალია - აბა, მერცხალს ცის სივრცეს ვინ მოუზომავს, გაზაფხულის ჭეხილს ვინ შეაჩერებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, სახედრის ყოყინი ვინმემ კავარადოსის არიად მიიჩნიოს და ისეთი რამ იბჟუტუროს, დესტაბილიზაციის ვირუსს რომ დაჰყრიაო. ვერაფერს იტყვი, რადგან უსინდისოდ მწიფს საქართველოში ეიგისეული სიტყვის, პრესის ხმაურობაციის საშუალებების დემოკრატიზაცია. ვუსმენდი და მახსენდებოდა ტელევიზიის წინ გაბრაზებული ათენელი მოქალაქეებივით ჩამომსხდარი ტელე და რადიო დეპარტამენტის „დემოკრატი“ მუშაკები-პრომეთეს ცეცხლი უნათებდათ დიქტატურისაგან შემურულ სახეებს, უგიზგიზებდათ სიტყვა და შეჰხაროდნენ თავისუფლების სილამაზეს, ახლა კი დიდი მიკროსკოპით თუ არ გაგისინჯეს, ყველა სიტყვას ცენზურის დუსტი თუ არ მოაყარეს (დესტაბილიზაციის ვირუსით დამფრთხლებმა), აზრისას აღარ ვიტყვი, ყველა „წერტილის“ სიღრმეს თვალი ბოლომდე თუ არ ჩაუწვდინეს, თავისებურად თუ არ მიკვერცხ-მოკვერცხეს მავანის გამოსვლა, ისე არც ვინმეს ეთერს გაუღებენ, არც ეკრანთან მიუშვებენ, ბრავო, ბრავო, მეგობრებო, ვივა დემოკრატია. რა თქმა უნდა, „საქართველო“ ამას ვერ ამჩნევს, ვერ ხედავს, ვერ გრძნობს, მაშინ იქნებ ხელახლა აგეხსნათ ჩემთვის — ან სახალხო ფრონტში სხვა რა ჩემთვის მიუზვედრელი შინაარსი გილაგიათ, ან დემოკრატიის დაცვაზე უფრო საპატიო სხვა რა უნდა აკადროთ ფურცლის პატიოსან სითეთრეს? მესმის, მესმის, დუმილი ახლა დივიდენდია, მომგებიანი აქციაა, რომელიც მომავალში მრავალი სიკეთით განაღდდება.

საინფორმაციო საშუალებებმა, ბატონო ნოდარ, როგორც იყო ამოყლაპეს ყელში გაჩხერილი იძულებითი დუმილი და ორიოდე მართალი სიტყვა კელაპტარივით დაუნთეს. ლიხსიქითური ტრაგედიის მსვერპლთ. საწყევრად გვყავდა ს.ორჯონიკიძე, ჩვენს ხსოვნაში დღემდე ობობასავით დაბობღავს ამ ქართველობაშემოცვეთილი აზნაურის ორი მყრალი სიტყვა „ავიღეთ თბილისი“. თურმე სადა ხარ, ამ ბოლო ხანს რამდენჯერ მოგვიწამლა სული ამაყად განაცხადმა „ფოთი ავიღეთ“, ზუგდიდი ავიღეთ“, „სენაკი ავიღეთ“... რა აიღე, ქართველო, იქნებ ცეზარი ხარ და გალები მუხლებზე დასვი, ან ხტრაბონივით მახვილზე მოსინიკები გაიწვინე, ან ერმოლოვივით ჩეჭმაში ჩაიგუბე „ველური ქართველების“ სისხლი? „ავიღეთ“... ჰოი, სიტყვავ, უსიტყვო, სიტყვავ-ტკბილო, სიტყვავ, საწამლავო... „საქართველო“ კი დუმს, დემოკრატიულობაზე ფიცდადებული „საქართველო“... მთავარია, ბიჭებს ვერტიკალურად, ზევით ეჭიროთ ავტომატის ლულა...

მიკვარს გაკვირვებითა დიდითა...

ბატონო ნოდარ, ქართველი ჯარისკაცი, თუნდაც ერთი, როცა საქართველოში თვისტომს მონღოლად მიუხტება, გულს გამოსჭამს, სულს აუკლებს, დედას თვალწინ შვილს ავტომატის ტყვიებით მიულურსმავს კედელზე, მუნჯი რომ იყო, ენა უნდა ამოიდგა, ყრუ რომ იყო, სმენა უნდა ჩაიდგა, ბრმა რომ იყო, შუბლით მაინც უნდა დაინახო ეს საშინელება და გველისაგან დაგესლილივით ფეხზე წამოვარდე, თუ დემოკრატიული პრესა გჭვია და რაღაც მისია გაკისრია ერის წინაშე. „საქართველო“ კი დუმს...

აპრილი ჩამოხდა თუ არა თბილისში, თავი მონატრებულ ქუჩებს მივეცი. გავიხედავ იქით, გამოვიხედავ აქეთ, თვალს ვარიდებ სევდით ჩამომხმარ და ჩამობელილ სახეებს. ნუში კი ყვავის მხიარულად, ჩვენებურად, ქართულად. ჩემს წინ ახალგაზრდა ქალი მიკენარომს, ხელი პატარა გოგონასთვის ჩაუვლია და ტიტინებს, ფდურტულებს პატარა ანგელოზი, ვინატრე — ღმერთო, ნეტავი ეს ნიშფა ხელის გულზე მესვას-მეთქი, რომ უცებ ბავშვის გაბზარული ხმა მომესმა — „დედა, შეშინია“ და ისე აეკრა ქალს, შეშინებული ბარტყი დედა-ჩიტის ფრთას რომ წაიხურავს-ხოლმე.

აბა, ფიქრებში რაღა გამაჩერებდა... რა ხდება-მეთქი და რას ვხედავ — მხარზე ავტომატმოგდებული გვარდიელი მოაბიჯებს, კეთილი, ლამაზი სახით მოანათებს, ალბათ, ბავშვის ხმა მოესმა, ტკივილმა გადაუსერა სახე.

„საქართველო“ კი დუმს... ამ დუმილსაც აქვს თავისი ხმა, ბატონო ნოდარ, ეს დუმილი პოზიციაა, მაგრამ დამეთანხმებით, არა ჰუმანური, არადემოკრატიული, ან ცალმხრივი.

მეგობრებო, მე ჩემი ბუნებით ყოველგვარი ძალადობის მოწინააღმდეგ-ვარ, არ ვემხრობოდი მას წინა ხელისუფლებაში, არ მომწონს ის ახ-

რელიგიური ფაქტორი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებაში

თეიმურაზ ფანჯიკიძე

(სიტყვა წარმოთქმული სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე „საქართველოს საგარეო პოლიტიკური კონცეფციის საკითხები“ 1992 წლის 23 მარტს)

ჩვენი კონფერენცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავებას, მისი ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებას ეხება. დღევანდელ შეკრებაზე ამ კონცეფციის მრავალ საინტერესო ასპექტზე იყო საუბარი. სხვა საკითხებს არ შევეხები შემოვიფარგლები მხოლოდ რელიგიის როლის გარკვევით საგარეო კონცეფციის ჩამოყალიბების საქმეში. მართლაც, როგორი უნდა იყოს რელიგიის როლი ჩვენს საგარეო პოლიტიკაში, უფრო ზუსტად, რა რელიგიური ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბების საქმეში.

პირველი, რითაც ჩვენ ამ კონცეფციის ჩამოყალიბებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ, ეს არის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ მუსულმანური რწმენის ხალხების რაკალით (თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი, დაღესტანი, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა პატარა რესპუბლიკები). რუსულ პრესაში არცთუ ისე დიდიხნის წინ გამოჩნდა ქრისტიან ოსთა განცხადება. ისინი იმუქრებოდნენ **„თუ რუსეთი ჩვენ სათანადო ყურადღებას არ მოგვაქცევს, არ დაიცავს ოსეთის ინტერესებს (იგულისხმება და საქართველოსთან მიმართებაში — თ.ფ) ჩვენ მეტი არაფერი დაგვრჩება თუ არა ის, რომ მივიღოთ ისლამი და რელიგიურადაც შევუერთდეთ ჩრდილოეთ მუსულმან თანამემამულეებსო“.** ამ აქციით, მათი აზრით, ისინი გადაუკეტავდნენ ქრისტიანულ საქართველოსა და სომხეთს იმ პატარა ყელს, რომლითაც ისინი ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდებოდნენ. ამასთანავე, მათ მუქარაში იგულისხმებოდა, რომ მეორე კარებს ქრისტიანულ სამყაროსთან აფხაზები ჩაკეტავენ, რომლებიც ცდილობენ მთიელ მუსულმანთა კავშირში შესვლას და მის დედაქალაქად სოხუმის გამოცხადებას.

ამის შემდეგ, საქართველოს, სომხეთის გარდა, ქრისტიანი მეზობელი არ რჩება. თუ ამასაც დავუმატებთ, რომ სომხეთიც საქართველოს ხშირად გამორჩენის თვალით შეჰყურებს და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ზღვაზე გასასვლელი იპოვოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ძალზე სახიფათო მეზობლობა გვაქვს...

ცხადია ასეთი მოსაზრებების არსებობა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი საშიშროება გარდაუვალი იყოს და მას ცხოვრებაში განხორციელება ეწეროს. სხვას რომ თავი დავანებოთ ახლა ძველი დრო აღარ არის და ხმელეთის გარდა არსებობს ზღვა და ჰაერი, რომლებითაც შესაძლებელია კავშირი ქრისტიანულ ქვეყნებთან. მაგრამ ასეთი მოსაზრებების სრული უგულებელყოფა და მისი გაუთვალისწინებლობაც ალბათ არ შეიძლება.

გარდა ამისა ჩვენ სხვაგვარადაც ძალზე რთული და სპეციფიკური ვითარება გვაქვს. თვით საქართველოში არის ისლამის ბევრი მიმდევარი, როგორც ქართველთა (აჭარელთა, ისე სხვა ეროვნების — **აზერბაიჯანელი, აფხაზი, ლეკი, ქისტი) სახით. როგორთა გარკვეული ნაწილი (ჩვენი გამოკვლევით 34,9 პროცენტი) რელიგიასა და ეროვნებას ერთმანეთთან აიგივებს. თუკი ამას დავუმატებთ, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორა თურქეთში და ირან**ში ისლამის **მიმდევარია, ხოლო აქ ჩვენ გვაქვს** პრობლემები თურქ-მესხებთან დაკავშირებით, **მსოფლიოში** კი ძლიერდება ისლამური ფუნდამენტალიზმი, **უნ**და ვაღიაროთ, რომ ჩვენ საკმაოდ რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდით.

აქედან გამომდინარე, ჩვენ უშუალო მეზობლებთან ურთიერთობისას საქართველოს საშინაო პრობლემების გათვალისწინებით, რელიგიურ ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა სწორად და სასარგებლოდ არ მიგვაჩნია. ალბათ, ბევრად უკეთესია მივმართოთ უფრო მოქნილ შეხერხებულ პოლიტიკას, რომლის გატარებაც თავიდან აგვაცილებს მეზობელ ქვეყნებთან რელიგიურ კონფრონტაციას და ამასთანავე არ გადაგვკიდებს მთელ მუსულმანურ სამყაროს.

საქართველოს ისტორიაში საკმარისად არის მაგალითები ისლამურ ქვეყნებთან ასეთი ურთიერთობისა. თვით შუა საუკუნეებშიც კი ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ თუ როგორი დოზით უნდა ყოფილიყო რელიგიური ფაქტორი პოლიტიკაში გამოყენებული.

ასე მაგალითად, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, როდესაც შემუშავდა თურქეთთან ბრძოლის გეგმა, საქართველოს მეფე-მთავრებს ერთმანეთთან ზავი დაუდვიათ. როგორც მ.თამარაშვილი წერდა: „ჩვენ ყველა ქრისტანმა მთავრებმა,— ნათქვამი იყო ხელშეკრულებაში, — კავშირი და ერთობა დავდეთ და ერთმანეთს შევფიცეთ მთელი ჩვენი ცოდნითა და ძალლონით თურქებს ვეომოთ. განსაკუთრებით იმათ, რომელნიც კონსტანტინეპოლში არიან, რადგან ისინი ქრისტიანეთა ყველა მოძულე არიან“.

ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა იოლი არ იყო, ამიტომ ისინი მოკავშირეებს არა მარტო დასავლეთში, არამედ თავის მეზობლებშიც ეძებდნენ. ასეთი მოკავშირეებიც მოუძებნიათ. ტრაპიზონის იმპერატორის და მცირე სომხეთის პატრონის სახით. პირველი აღუთქვამდა მოკავშირეებს 30 ათასი ჯარისკაცისა და 30 ხომალდის, მეორე კი ოცი ათასი ჯარისკაცის გამოყვანას.

ყველაზე საგულისხმო ის იყო, რომ ქრისტიან მოკავშირეებს გარდა მათ ზოგიერთი მაჰმადიანი მთავრებისთვისაც მიუმართავთ. ქართველებს მოუხერხებიათ „სამი ძლიერი უსჯელო მთავარი, რომელნიც კონსტანტინეპოლელ თურქთა მტრები იყვნენ თავის მხარეზე გადმოუყვანიათ...“ თუმც ამ გეგმებს საბოლოო ჯამში განხორციელება არ ეწერა, მაგრამ თვით ფაქტი, რომ თურქებს ებრძვიან და არა ისლამს, საგულისხმო ფაქტია და თვალსაჩინო მაგალითია იმ დროის მოქნილი პოლიტიკისა.

ამ გამოცდილებას, რასაკვირველია, გათვალისწინება და სათანადო გამოყენება უნდა. ჩვენ დღესაც უნდა გამოვიდეთ იმ პრინციპიდან, რომ უკიდურეს შემთხვევაში საფუძვლიანად ეფიქრებოდეთ არა ისლამს, არამედ იმ ქვეყანას, რომელიც ისლამის დროშით შესაძლოა ჩვენს მიმართ მტრული საქმიანობას წარმართავს. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ უნდა შეგვეძლოს მანევრირება, რეალური სიტუაციის გათვალისწინება, საღად იმის შეხედვა და გათვალისწინება, თუ რისი შემოთვაზება შეუძლიათ ისლამის მაღიარებელ მეზობლებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ საფრთხე აუცილებლად მარტო ისლამური ქვეყნებიდან როდი გვემუქრება, არსებობს რეალური საფრთხე თვით ქრისტიანული ქვეყნებიდანაც. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უკანასკნელი გზა უნდა გვქონდეს რათა ყოველმხრივ იზოლირებული არ უნდა აღმოვჩნდეთ.

ბოლო ხანებში ჩვენს არაოფიციალურ წრეებში არაერთგზის გაიგონებ მოსაზრებას, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ისეთივე როლი ისლამური სამყაროს მიმართ, რომელსაც ასრულებს ისრაელი. რამდენად მართებულია საკითხის ასე დასმა და რამდენად გვაქვს ჩვენ ამის შესრულების საშუალება, ან რამდენად შეიძლება პარალელის გავლება ამ ორ ქვეყანას შორის.

ერთის მხრივ, ჩვენ თითქოს გეოგრაფიული მდგომარეობა ამის საშუალებას გვაძლევს, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენც ებრაელებივით მუსულმანურ რაკალში ვართ მოქცეულნი. ისტორიაც შესაბამისი გვაქვს ისლამთან ბრძოლისა, მაგრამ ზუსტი პარალელის გავლება ამ ორი ქვეყნის მდგომარეობას შორის, ჩემი აზრით, არ შეიძლება.

ჯერ ერთი, ჩვენ ებრაელებივით ყველა ქართველი ერთი რელიგიის მიმდევარი არ არის. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ერის გარკვეული ნაწილი მუსულმანია, ზოგიც სხვა რელიგიური მიმდინარეობის თაყვანისმცემელი, ამ ფაქტორს კი აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში.

მეორე, ჩვენ არ გვაქვს ისეთი ტექნიკა და იარაღი, როგორც ებრაელებს, რომ ესოდენ მაღალ ლონეზე დაპირისპირება შევძლოთ უზარმაზარ მუსულმანურ სამყარასთან. მესამე, ჩვენ ძალზე მცირერიცხოვანნი ვართ და ზურგს არ გვმაგრებს ისეთი მძლავრი და გავლენიანი დიასპორა, როგორიც ისრაელს ჰყავს. და ბოლოს, მეოთხე, ჩვენში ძალზე ცოტაა თავგადადებული ქრისტიანი, რომელიც რელიგიურს საერო ფაქტორზე წინ აყენებდეს.

საქმის ასეთმა ვითარებამ, რასაკვირველია, უფრო რეალურ საფუძველზე უნდა დაგვაყენოს. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ძალზე მცირერიცხოვანი ერი ვართ. ამიტომ დიდი საკითხების გადაწყვეტისას მეტი სიფრთხილე გვმართებს. მოსალხენობა ექსპერიმენტებისათვის არ უნდა გავიმეტოთ და ვიღაცის ინტერესებს არ შევწიროთ. აქედან გამომდინარე, თუ ისეთ პოლიტიკას მაინც დავადგებით, მოსალოდნელი შედეგებიც ბოლომდე გავთვალოთ რადგან ჩვენ მეზობლებს არავინ არ შეგვიცვლის. კეთილმეზობლობა კი ნიშანია მშვიდობისა და გარანტიაა კეთილდღეობისა.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი და გათვალისწინებული იქნას საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ჩამოყალიბებისას, ესაა ჩვენი ისტორიული წარსული. ცნობილია, რომ საქართველოში სამტროდ მოსული ყველა დამპყრობელი ცდილობდა მამულთან ერთად ჩვენთვის წაერთმია ენა და სარწმუნოება. თუკი ამას ისინი მოახერხებდნენ. მაშინ მათ ხელს ვერავინ შეუშლიდა ქვეყნის სრული დაუფლების საქმეში. ჩვენი ისტორიული მტრები კი ტრადიციულად ისლამის მაღიარებელი ხალხი იყო. ამიტომ, ქრისტიანული რელიგია იყო მძლავრი, ნაცადი იარაღი ქართველთა ხელში თავისი ეროვნული მეობის შენარჩუნების საქმეში მანამ, სანამ მუსულმანური ქვეყნების წინააღმდეგ ვიბრძოდით. ამ დროისათვის ქრისტიანობა ქართველობასათან იყო გაიგივებული, ამიტომ ქრისტესათვის ბრძოლა იგივე საქართველოსათვის ბრძოლას ნიშნავდა. შემთხვევით როდი იყო ილია ჭავჭავაძის სიტყვები ქრისტიანობის შესახებ: „ქრისტიანობა, ქრისტეს მიმდევრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, აღნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულიდან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეუღწეელი ფარი მტრის წინაშე. სიტყვის გაქადაგებისას, სწავლის, მოძღვრების სულ იმაზედაც მიიქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმიდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულ, თავდადებით ემსახუროს, თავგანწირვით ამოჩქმედოს“.

მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული იდეოლოგია, ეს ძლავრი იარაღი, საუკუნეების მანძილზე გამოცდილი, ბრძოლებში გამოვლილი და გამოწრთობილი, რომელიც ქართველებს ომახიანად მოუწოდებდა არ გათათრებულიყვნენ, არ გათურქებულიყვნენ, არ გამონღოლებულიყვნენ, მოულოდნელად სრულიად დაჩლუნგდა და ძალა დაკარგა მაშინ, როცა ქართველთა ინტერესები შეეჯახა ზუსტად ჩვენნაირ რელიგიას, ერთმორწმუნე ხალხს, რომელიც თავდაპირველად, თითქოსდა ჩვენს საშველად მოვიდა. მხედველობაში გვაქვს ჩვენიურთიერთობა მართლმადიდებლურ ქრისტიან რუსეთთან. ე.წ. „ერთმორწმუნეობის“ ფაქტორი.

მართალაცდა საქართველო და რუსეთი ერთი სარწმუნოების, ერთი ქრისტიანული ღირებულების მიმდევარი ხალხი იყო და არის. იმ დროს ერთი ტიბიკონის ქრისტიანები ცდილობდნენ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ ამ ურთიერთობას ისინი იყენებდნენ ურთიერთდაახლოების და მუსულმანური ქვეყნების წინააღმდეგ კავშირის განმტკიცებისათვის.

„ერთმორწმუნეობის“ საფუძველზე დაახლოება, ცხადია, უფრო მიმზიდველი და იდეოლოგიურად გამართლებული იყო. იგი ხელს უწყობდა სხვადასხვა ქვეყნების დაახლოებას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესა თუ ის ქვეყანა გარშემორტყმული იყო უცხო რელიგიის მატარებელი ხალხით.

„ერთმორწმუნეობის“ ტერმინი ცხადია მარტო რუსეთთან დაკავშირებით არ იხმარებოდა. დიდხანს მას ხმარობდნენ ბიზანტიასთან დამოკიდებულებაში, რომელთანაც საქართველოს საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1453 წელს კონსტანტინეპოლი დაეცა და ბიზანტია აღიგავა პირისაგან მიწისა, რუსეთი გახდა ის ერთადერთი ერთმორწმუნე ქვეყანა, რომელსაც რეალური ძალა გააჩნდა და შესაბამისად გაჭირვების დროს შეიძლებოდა დახმარების იმედი გვქონოდა. მართალია, ამ საქმეებში რელიგია მთავარი და განმსაზღვრელი არ ყოფილა, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ქართველებს, აკად.ნ.ბერძენიშვილის თქმით: „ქრისტიანულ რუსეთში ახალი ბიზანტია ეჩვენებოდათ. ამ ძალის შემწეობით ისინი მაჰმადიან აგრესორთა (ირანისა და ოსმალეთის) შემუსვრაზე და საქართველოს ძველი ძლიერების აღდგენაზე ოცნებობდნენ“. რაც შეეხება რუსეთს, როდესაც იგი თავს მესამე რომად აცხადებდა, მას თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა და ამ შემთხვევაში ქრისტიანობა მისთვის მიზნის მიღწევის ლამაზი და იოლი საშუალება იყო. იგი იყო იდეოლოგიური საბურველი, რომლის იქით საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები ჩანდა.

მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში მტრებისაგან შევიწროებული და სისხლისაგან დაცლილი ქართული სამეფო-სამთავროები მფარველს ეძებდნენ. ასეთი საგარეო მფარველის ძიება და პოვნა, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ისტორიკოსები, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წაგებას ნიშნავდა, რადგან პოლიტიკაში უანგაროდ არავინ ირჯება და არც არაფერს აკეთებს თვით ერთნაირი სარწმუნოებისა და ერთნაირი შეხედულებებისათვისაც კი. ასეთი მფარველი საგანგებოდ უნდა შერჩეულიყო და ყველა სხვა შესაძლებელ მფარველზე უკეთესი უნდა ყოფილიყო. ასეთ მძიმე პირობებში, როდესაც ქართული სამეფო-სამთავროები გარშემორტყმულნი იყვნენ მისადმი მტრულად განწყობილი მუსულმანური ქვეყნებით, რომელნიც ყოველ წუთს წალეკვით ემუქრებოდნენ საქართველოს, ასეთი მოკავშირის გამოჩენას, რომელსაც რეალური ძალა გააჩნდა და ამავე დროს ერთნაირი სარწმუნოება და ერთნაირი ტიბიკონიც ჰქონდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ისტორიკოსები, ერთმორწმუნეობა ამ ორ ქვეყანას შორის „უცხოობის“ ზღვარსაც კი შლიდა და განუხრელად უწყობდა ხელს საქართველოს რუსეთთან დაახლოებას.

როგორც ჩანს, ქართულმა სამეფოებმა და სამთავროებმა ბოლომდე ვერ გათვალეს რა მოჰყვებოდა ამ კავშირს. თავისი დახმარების სიფასურად რა პირობებს წამოუყენებდა რუსეთი? შეიძლება ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ რუსეთის სახელმწიფო მარტო ქრისტიანობის და „ერთმორწმუნეობის“ გამო გაუწევდა დახმარებას საქართველოს? სხვა ვითარებაში ალბათ ქართველები ისეთი მოკავშირის ძებნას არ შეუდგებოდნენ, რომელიც მათ სახელმწიფოებრიობას გაუქმებდა, ამიტომ მართალი იყო აკად. ივანე ჯავახიშვილი, როდესაც წერდა, რომ ქართველთა მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვას არა მარტო მეფის რუსეთის ცბიერი პოლიტიკა განსაზღვრავდა, არამედ ქართულ-კახეთის მესვეურთა პოლიტიკური გულუბრყვილობა, რაც რუსეთისადმი სარწმუნოებრივ ნიადაგზე დამყარებულ „დაუშრეტელ ნდობაში გამოიხატებოდა“.

რასაკვირველია, ქართული სამეფოების ისტორიაში იყო მომენტები, როდესაც ერთგვარად შენელებული იყო რუსული ორიენტაცია. ამ ორიენტაციის შერბილებას კი მოჰყვა კათოლიკე მისიონერთა ერთგვარი წარმატება. მე-17-18 საუკუნეებში კათოლიკე მისიონერებს მთელი რიგი მეფეები მფარველობდნენ. მე-18 საუკუნეში თვით კათალიკოსი დომენტი თანახმა იყო ეცნო რომის პაპის უზენაესობა. საერთოდ კი მართებულია ქართველ ისტორიკოსთა მიერ რელიგიური დამოკიდებულებების იმ ბარომეტრთან შედარება, რომელიც ნათლად უჩვენებდა, თუ ვისი გავლენა სძლევდა, სჯაბნიდა. ასე მაგალითად, მართლმადიდებელი ორიენტაცია რუსულ გავლენას მოიწვევდა, კათოლიკური — ევროპის, ხოლო მუსლიმანური — ირანის ან ოსმალეთის პოზიციების განმტკიცებას. თუ რელიგიური ფაქტორი იცვლებოდა, იგი ნათლად მიუთითებდა, რომ ძალთა თანაფარდობა შეიცვალა. საბოლოო ჯამში ამ ბარომეტრმა მაინც რუსეთისაკენ გადახრა აჩვენა.

ყველასათვის ცნობილია, თუ რით დასრულდა ეს ამბები: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ჯერ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით, უფრო გვიან კი, 1801 წლის მანიფესტით დამთავრდა, საქართველო დაიპყრო რუსეთმა. ამან საბოლოო ჯამში გადაწყვიტა კიდეც ქართული ეკლესიის ბედი. 1811 წელს გაუქმებულ იქნა ავტოკეფალია და ქართული ეკლესია დაემორჩილა რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდს. ქართულ ეკლესიას სათავეში ეგზარხოსები ჩაუდგნენ. ეს ტრაგიკული ფურცლები იყო როგორც ქართველი ერის, ისე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაშიც.

მაინც რა გვიჩვენა ამ ისტორიულმა წარსულმა? რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ მომხდარი ამბებიდან? გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, რომ სასარგებლო არ არის გქონდეს ზუსტად ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც იმ ქვეყანაში გაჩნია, რომელიც შენს დამორჩილებას ან გავლენის სფეროში მოქცევას რომ ცდილობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზუსტად ჩვენნაირმა სარწმუნოებამ, რომლის დროშითაც რუსეთი მოვიდა, ჩვენ სრულიად უიარაღოდ დაგვტოვა. **ზუსტად ერთნაირმა ტიბიკონმა შესაძლებლობა მისცა რუსეთს გაეუქმებინა ჩვენი ავტოკეფალია, ხოლო თვით ეკლესია ჩვენივე ჩაგრისა და რუსიფიკაციის საშუალებად ექცია.**

განსხვავებულმა ტიბიკონმა საშუალება მისცა სომხებს შეენარჩუნებინათ თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობა და იმ ძნელბედობის ჟამს, როდესაც სომხებს საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდათ, თავისი ხალხის კონსოლიდაციისათვის ებრძოლათ.

გასათვალისწინებელი ისიც, რომ პატარა დაღესტანმა სხვა რელიგიით, შამილის მეთაურობით და ისლამის დროშით 25 წელი იბრძოდა დამპყრობელი ქრისტიანული რუსეთის წინააღმდეგ.

კიდევ რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ჩვენი ისტორიული წარსულიდან? პირველ რიგში ალბათ იმისა, რომ საგარეო პოლიტიკაში მარტო სარწმუნოებით გატაცებას ყოველთვის როდი მივყავართ სასურველ შედეგებამდე. სწორ, პერსპექტიულ პოლიტიკამდე. გამეორება კი იმ შეცდომებისა, რომელიც ჩვენ წარსულში დაუშვეთ, მარტო გულუბრყვილობა კი არაა, არამედ დანაშაულიც იქნება ერის წინაშე. მით უფრო საკვირველია, რომ დღესაც ის იმედები და ილუზიები, რომელიც ქართულ ეკლესიას თავის დროზე ჰქონდა „ერთმორწმუნე“ რუსეთთან დაკავშირებით დღესაც იჩენს ხოლმე თავს. „... დიან, სწორედ მართლმადიდებლურ სარწმუნოების დაცვა და გადარჩენა ედო საფუძვლად იმ ისტორიულ ტრაქტატს რუსეთსა და საქართველოს შორის რომ გაფორმდა“, — ამბობდა ქართველი ეპისკოპოსი ზოსიმე რუსეთის ნათლისღების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც 1988 წლის 20 მაისს გაიმართა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს რეზიდენციაში, — „ქრისტეს ჯვარმა და წმიდა სახარებამ დაგვაახლოვა ჩვენ. ამიტომაცაა, რომ რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლის დღესასწაულს ჩვენი ერი და წმიდა ეკლესია თვლის დიდ დღესასწაულად“ („ჯვარი ვაზისა“, 1988წ. №3).

ყოველივე ზემოთქმული, რუსეთთან ურთიერთობაში განცდილი და გადახდილი მწარე გამოცდილება, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ორიენტირი ქრისტიანულ ქვეყნებზე არ ავიღოთ, არ დავუკავშირდეთ ქრისტიანულ სამყაროს. ჩვენი ისტორია, ჩვენი ცხოვრება ხომ მჭიდროდ არის დაკავშირებული და გადაჯაჭვული ქრისტიანობასთან. ჩვენი ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, ცხოვრების წესი, ქრისტიანულია, ქართული კულტურაც უმეტესად ქრისტიანული კულტურაა. ჩვენ არ ვიცნობთ ქართულ ისლამურ კულტურას. ამიტომ, ცხადია ჩვენი ძირითადი ორიენტირი ყოველთვის იყო, არის და იქნება ქრისტიანული დასავლეთი. მაგრამ ამასთანავე, კიდევ ვიმეორებ, რელიგიური ფაქტორი არ უნდა იყოს ერთადერთი და გადამწყვეტი საგარეო პოლიტიკის გატარებაში. მან ხელი არ უნდა შეგვიშალოს მოქნილი პოლიტიკის გატარებაში. თუმცა მისი გათვალისწინებაც საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია, ისტორიული გამოცდილების ფონზე.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის მიმართვა მკითხველების, ავტორებისა და მთავრობისადმი

რამდენიმე ხნის წინ „ნეიტნოე ობზერვენიემ“ გაზეთ „გარდიანიდან“ (ინგლისი) გადაბეჭდა რჩევა-დარიგებანი პოპულარობის მოხვეჭის მსურველთათვის. ცნობილი რომ გახდე, ბევრი არაფერია საჭიროო,— ირწმუნებოდა გაზეთი, — ამისათვის საკმარისია, დაწეროთ „ჰამლეტის“ მსგავსი პიესა, „დონ კიხოტის“ დარი რომანი, გამოიგონოთ პერპეტუმ მობილე (მუდმივი ძრავი), გაფრინდეთ მარსზე და ა.შ.

პოპულარობის მოპოვება არც ჩვენშია ძნელი, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც, ვთქვათ, ექსტრასენსობა, ნათელმხილველობა, წინასწარმეტყველება ეხერხება.

მკითხველია მოწმე, რომ ჩვენს გაზეთს არცერთი ამ გზით არ უცდია სახელის შოვნა, მაგრამ, რაღა დაგიმალოთ და, ერთი ხანია, ერთობ ამოუხსნელ -შ[illegible]ოთებელი, პარაფსიქოლოგიუ[illegible]ი მოვლენები ხდება ჩვენს თავს.

თავად განსაჯეთ:

ჯერ იყო და ფელიქს კოჟიაშვილმა (ჩვენმა თანამშრომელმა!) შარშან, აგვისტოში მოგვაწოდა ინფორმაცია „გუშინ მოსკოვში“, რომელშიც აღწერილი იყო სკკპ ცკ-ს ვითომ გამართულ პლენუმზე თუ როგორ ამხობენ გორბაჩოვს და ძალაუფლებას ი.ჩურბანოვის ხელმძღვანელობით ხელში იღებენ რეაქციული ძალები.

დავბეჭდეთ ეს მასალა და ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, 18 აგვისტოს გორბაჩოვი მართლაც არ დაამხეს და ძალაუფლება ხელთ არ იგდეს რეაქციულმა ძალებმა (იანაუვი, კრიუჩკოვი, პავლოვი, იაზოვი, პუგო... ჩურბანოვის ციხიდან გამოყვანა და „გკჩპ“-ში შეყვანა ვერ მოასწრეს)?!

შემდეგ, ნოემბერ-დეკემბერში ვბეჭდეთ და ვბეჭდეთ კრიტიკულად განწყობილ ავტორთა წინასწარმეტყველებები, ასე თუ გააგრძელა მრგვალმა ხელისუფლებამ, დიდხანს ვერ გასძლებსო...

აკი მართლაც ვერ გასძლო!

მოვითხოვეთ, პრესა მთლიანად არასაპარლამენტო, არასამთავრობო ანუ დამოუკიდებელი უნდა იყოსო და მალე მართლაც ასეთი არ გახდა?!

აგერ ახლა, 1 მაისს ილია ბარამიძის მოთხოვნა-მოწოდება დავსტამბეთ, კართაგენი უნდა დაინგრეს, სუკი უნდა გაუქმდესო, და მეორე დღესვე სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მართლაც არ გაუქმდა ეს ადრე და მალევე მოსასპობი ორგანო?!

კი, გვესმის, როგორ არ გვესმის, რომ ყველა ამ საქმეში ჩვენი დამსახურება არ უნდა გავაზვიადოთ (განსაკუთრებით სუკის გაოქმებაში), მაგრამ, აშკარად პარაპსიქოლოგიურ, კერძოდ კი ტელეპატიურ მოვლენებს რომ აქვს ადგილი, ვფიქრობთ, საეჭო არ უნდა იყოს!

ასეა თუ ისე, ერთი რამ უეჭველია — ფრთხილად უნდა ვიყოთ! (რა იცი, რა წამოგცდება კაცს!)

ამიტომ, ყოველგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ავტორებს ვაფრთხილებთ, რომ არ დავბეჭდავთ იმგვარ წერილებს, რომლებშიც ლაპარაკი იქნება მოსალოდნელ მიწისძვრებზე, წყალდიდობებზე, კომუნისტების დაბრუნებაზე, მეტეორიტების ჩამოვარდნაზე, ოქტომბერში გასამართი არჩევნების არგამართვაზე, ფასების ზრდაზე, ხელფასების არგაზრდაზე და ა.შ.

ასევე კატეგორიულად გვინდა მივმართოთ მთავრობას, რომ იმ შემთხვევაში, თუ:

1. კვლავაც მოხდება მიტინგების ტყვიით დარბევა.

2. ატირებული სამაჩაბლოელი ქართველები კვლავაც მოგვადგებიან რედაქციაში.

3. კვლავაც მოხდება ფასების თვითნებური ზრდა (ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების ზრდის, და საერთოდ, მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმის შექმნის გარეშე)—

ისეთ რამეს ვუწინასწარმეტყველებთ, ისეთ „გუშინ თბილისში“-ს დავუბეჭდავთ...

ცენზურა მოხსნილია, მაგრამ...

საყოველთაოდაა ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ პრესას და ინფორმაციის სხვა საშუალებებს დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შენების საქმეში. დღეს ჩვენ ასეთი სახელმწიფოს შენებისგზაზე ვართ. ამიტომ ჩვენთვის და მით უფრო, მთავრობისათვის, სულერთი არ უნდა იყოს თავისუფალი პრესის ბედი.

დღევანდელმა მთავრობამ კი, ნაცვლად იმისა, რომ ამ ჰიპერინფლაციის პირობებში, როცა კატასტროფულადაა გაზრდილი ქაღალდის ფასი და სასტამბო ხარჯები, დროებით მაინც დაეწესებინა გარკვეული შეღავათები პრესის ორგანოებისათვის, მიმდინარე წლის მარტის თვის დადგენილებით გაზეთებს ბიუჯეტის სასარგებლოდ 28 პროცენტის გადახდა დააკისრა. მე მესმის, რომ ეს დადგენილება დალხენილი ცხოვრებით არაა ნაკარნახევი და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან ამოღებული ეს 28 პროცენტი დღეს ჰაერივით სჭირდება რესპუბლიკის ბიუჯეტს, მაგრამ ჩვენს ეკონომიკას ის ადგილ გაკოტრების პირას მისული გაზეთებიდან ამოღებული 28 პროცენტი რომ ფეხზე ვერ დააყენებს ეს[illegible] ...

თვით რუსეთის მთავრობამაც, რომელსაც ზოგჯერ ვუკიჟინებთ კიდეც არადემოკრატიულობას, ეტყობა, შეაფასა თავისუფალი პრესის მნიშვნელობა და გაზეთები რომ გაკოტრებისაგან ეხსნა, მილიონობით მანეთები გამოუყო როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ გაზეთებსაც. თუმცა, არც ჩვენი მთავრობა დარჩენილა გულგრილი ზოგიერთი გაზეთის მიმართ, რომლებიც ოფიციალურად არავის ორგანოს წარმოადგენენ, მაგრამ მოგეხსენებათ, ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს.

მადლობა ფმერთს, პრესაზე დღეს ოფიციალური დიქტატი და ცენზურა მოხსნილია, მაგრამ ეკონომიკურ კაბალაში კი იხრჩობა და თუ დროზე არ ეშველა, შეიძლება ფეხიც გაჭიმოს.

სერგო ჯანაშია

მცირე განმარტება

გაზეთ „საქართველოს“ ამა წლის 10 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა მარტვილელ მშრომელთა ერთი ნაწილის განცხადება, რომელიც ეხება რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებთან დაკავშირებულ მოვლენებს.

• განცხადებელები ერთგან წერენ, რომ „ჩვენს კრებას (იგულისხმება მშრომელთა აქტივის კრება, რომელზეც თავმჯდომარეს ირჩევდნენ — დ.ჩ.) ჩვენივე თხოვნით ესწრებოდნენ რაიონში ჩამოსული მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებელი მუშაკები დავით ჩაჩუა ხელმძღვანელობით“-ო.

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ 14 თებერვალს ვიმყოფებოდი მარტვილის მილიციის განყოფილებაში. იქ ჩვენთან მოვიდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. დელეგატებმა გვთხოვეს დავსწრებოდით აქტივის კრებას, რომელზეც აპირებდნენ რაიონის გამგეობის თავმჯდომარის არჩევას. დავთანხმდი და მცირე ხნით დავესწარი შეკრებას, რომელზეც ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ მარტვილის რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებიც, სხვათა შორის, სიტყვითაც კი გამოვედი. ამის შემდეგ კრება დავტოვე, რადგან წალენჯიხის რაიონში მივემგზავრებოდი.

ამდენად, მე ზემოხსენებულ არჩევნებში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და ვერც მივიღებდი.

დავით ჩაჩუა

სახელმწიფო საბჭოს რწმუნებული სამეგრელოს რაიონში

ორგანიზაციების, კოოპერატივების, საწარმოებისა და კერძო პირების საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ უმოკლეს ვადაში გამოაქვეყნებს თქვენს განცხადებებსა და რეკლამას თქვენთვის ხელმისაწვდომ ფასებში.

ჩვენი მისამართია: ქავთარაძის გამზ.85. ტელ.22-16-01.

გეძლევათ შესაძლებლობა დააფუძნოთ თქვენი ბანკი!

გეძლევათ შესაძლებლობა დააფუძნოთ საქართველოში ყველაზე დიდი და ყველაზე დამოუკიდებელი უნივერსალური სააქციო ბანკი.

კერძობანკი

ბანკის დაფუძნების შესაძლებლობა ეძლევათ მხოლოდ მოქალაქეებსა და კერძო სექტორის იურიდიულ პირებს.

დამფუძნებლისათვის ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 50 ათასი მანეთია. დასაშვებია რამდენიმე მოქალაქე ან იურიდიული პირი შეამხანაგდეს და შეიძინოს ბანკის დამფუძნებლის აქცია.

წინასწარი გაანგარიშებით, კერძობანკის დამფუძნებელი აქციონერის დივიდენდი (მოგება) ყველაზე მაღალი იქნება, რადგან მოსალოდნელია მისმა სიდიდემ მიაღწიოს დამფუძნებლის მიერ შეძენილი აქციების საერთო ღირებულების არანაკლებ 52 პროცენტს, რომლის ნაწილი გაცემული იქნება კონვენტირებული ვალუტით.

ბანკის დამფუძნებელს აქციის შესაძენად უკიდურესობამდე გაუფასურებულ მანეთებში თანხის შეტანა (გადმორიცხვა) შეუძლია როგორც ნაღდ ისე უნაღდო ანგარიშსწორებით, მათ შორის: მოქალაქეებს — შემნახველი ბანკის ნებისმიერი რაიონული განყოფილების მეშვეობით; იურიდიულ პირებს — შესაბამისი სპეციალისტის რაიონული განყოფილების, კომერციული ბანკის მეშვეობით.

მოქალაქეებს ჩეკები, სერთიფიკატები, შეუძლიათ ჩაბარონ შემნახველი ბანკის რაიონულ განყოფილებაში და იქიდან გადმორიცხონ კერძობანკის ანგარიშზე.

თუ გადაწყვეტთ გახდეთ კერძობანკის დამფუძნებელი, შესაბამისი თანხა თქვენს სახელზე შეგიძლიათ ჩარიცხოთ (შეიტანოთ) კერძობანკის ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტებით:

საბანკო რეკვიზიტებია: მფო 521921, კერძობანკის დროებითი ანგარიშსწორების ანგარიში № 200609114 „დამფუძნებლის მიერ კერძობანკის აქციის შეძენის მიზნით“.

კერძობანკის შექმნის საინიციატივო ჯგუფის სრულ შემადგენლობასთან შეხვედრის შესაძლებლობა გექნებათ ყოველ ხუთშაბათს 15 სთ-ზე კერძობანკის შენობაში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი — 86, სანდრო ეულის ქ.№1 (ვაჟა-ფშაველას გამზ. ბოლოს). საკონტაქტო ტელეფონებია: 31-17-85 სადღეღამისო), 93-49-66.

გირჩევთ იჩქაროთ, რადგან ბანკის საწესდებო კაპიტალის ოდენობა და მისი განაღდების დრო შეზღუდულია.

საინიციატივო ჯგუფი

380008, ქ.თბილისი, ჯორჯიაშვილის ქ. 14 (სასტუმრო „თბილისთან“)
„საქმრეწვშენბანკის“ მეთაური ბანკი, II სართული, ოთახი № 217, ტელ: 93-49-66.

ქ.ქუთაისი, ფალიაშვილის 35, საქმრეწვმშენბანკის განყოფილება ტელ:. 5-04-80.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

თქვენი გაზეთის 1992 წ. 31 იანვრის მე-4 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „მოჯადოებულ წრეში“ მოყვანილი ფაქტები ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა და დადასტურდა.

ამა წლის იანვრის თვეში როგორც ქ.თბილისის, ასევე რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების რიგმა ხელმომწერლებმა ვერ მიიღეს არა მარტო გაზეთი „საქართველო“, არამედ ზოგიერთი სხვა გამოცემებიც. ამის მიზეზი სხვადასხვაა, მაგრამ ძირითადი მიზეზი გახლავთ ის ფაქტი, რომ კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობასთან ერთად დაიწვა ჟურნალ-გაზეთების დოკუმენტაცია, რის შედეგადაც გაზეთები იბეჭდებოდა გასული წლის დეკემბრის თვის ხელმოწერის რაოდენობით, რაც იწვევდა გაზეთების მეტ-ნაკლებობით დაბეჭდვას. მაგ: გაზეთი „საქართველო“ იბეჭდებოდა დაახლოებით 2 ათასი ეგზემპლიარით ნაკლები.

ამჟამად აღნიშნულ გაზეთზე და სხვა მთელ რიგ გაზეთებზე აღდგენილია საწარმოო დოკუმენტაცია.

სამინისტრო ღებულობს ზომებს ჟურნალ-გაზეთების დატარების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მინისტრის მოადგილე
ვ. სალიბეგაშვილი

ვცვლი

აბარაკს ლისის ტბიდან 15 კილომეტრის დაშორებით ფულეთიდან თბილისში 3 ან 4 ოთახიან ბინაზე. დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 34-21-33

წიგნის მოყვარულთა საყურადღებოდ!

საბამოგცემლო ფირმა „იავნანა“ გთავაზობთ აბონემენტს, სადაც შესულია შემდეგი სახის გამოსაცემი წიგნები:

1. „პატარა სიუჟეტ“-ს 2 ტომეული, რომელიც 1962 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“ და დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული. ორტომეულში შესულია ქართული ხალხური ზღაპრების და საბავშვო პოეზიის ნიმუშები, ქართველი მწერლების უკვდავი საბავშვო ქმნილებები, პროზის და პოეზიის სახით.
2. დავით გურამიშვილის „დავითიანი“-ს ერთტომეულს.
3. შიო მღვიმელის (ქუჩუკაშვილის) პოეზია.
4. მაყვალა მრევლიშვილის პოეზია.

ზემოთჩამოთვლილი წიგნების გამოცემა განსაზღვრულია 1993-1995 წლებში.

აბონემენტის შეძენა შეგიძლიათ ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, დილის 10 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: აკაკი წერეთლის გამზირი № 112. (ავტონაწილების მაღაზიის მოპირდაპირე მხარეს).

საბამოგცემლო ფირმა „იავნანა“

ინდექსი 66447

ფასი 3 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი